

„მოგზაური“ წელი-
წაღწი ღირს 5 მან.
ნახევარ წლით 3 მ.
ცალკე ნომერი 10 კ.
აღრესი: თფილისი,
ნიკოლოზ. ქ. № 44.

მოგზაური

რედაქცია ღიაა ყო-
ველ დღე: დღის
10 საათ. შუადღის
1 საათამდე, და სა-
ღამის: 6 სათ. 7 სა-
ათამდე.

საზოგადოებრივი მუშაობის

№ 31.

კვირა, 21 აგვისტო 1905 წლისა.

№ 31.

შინაარსი: სახელმწიფო სათათბირო. — თმის ამბები. ოფიციალური ცნობა. — რევოლუციონური მოძრაობა პოლიციის და ებრაელებში. — რევოლუციონური მოძრაობა დასავლეთ რუსეთში. — სხვადასხვა ამბები. — დაბა სოფლის ამბები. — რუსეთის კრონიკა. — ნორვეგიის ავტონომია და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ფ. მახარაძისა. — ფრიდრიხ ენგელსი. — თანამედროვე კონცეფციები, ბრაკსი, (თარგმანი). — მურგუა და პოლიტიკა. — ცოტა რამ საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის ისტორიიდან (თარგმანი). — წერილები რედაქციის მიმართ.

სახელმწიფო სათათბირო

(6 აგვისტოს კანონი)

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, 6 აგვისტოს გამოაქვეყნეს დებულება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. ამ ახალი კანონის გამოცემით რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს მარავე-გამგეობას ემატება ერთი ახალი დაწესებულება, რომელიც ხალხის წარმომადგენლებისაგან იქნება შემდგარი. ხსენებული კანონის გამოქვეყნებას თითქმის მთელი რუსეთი მოუთმენელათ ელოდებოდა. საზოგადოება და სხვა-და-სხვა პოლიტიკური პარტიები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. თუ რეაქციონური პრესისა და გრინგმუტების, მეშჩერსკების და შარაპოვების მსგავს „პატრიოტებს“ არ მივიღებთ მხედველობაში, საზოგადოათ უნდა ვთქვათ, რომ მოწინავე პრესა და საზოგადოებრივი ჯგუფები ლიბერალური ბანაკისა ერთი ამბით ელოდებოდნენ ამ დებულების გამოქვეყნებას. მეორე მხრით, მთელი რეაქციონური პრესა წყვეა-კრულვით იხსენიებდა იმით, ვისაც პირველათ აზრათ მოუვიდა რუსეთში ხალხის წარმომადგენლების მოწვევა სახელმწიფო კანონების შედგენაში მონაწილეობის მისაღებათ. თუ როგორ გამართლდა ან გატრუვდა ერთის ან მეორეს მოლოდინი და იმედები, ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ, ჯერ კი ცოტათი შევჩერდეთ იმაზე, თუ საზოგადოათ როგორ უნდა ვეყურებდეთ რაიმე ახალი კანონის გამოცემას, და ან რას წარმოადგენს თვით კანონი. კანონი არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამოხატულებაა. კანონის გამოცემა ან გაუქმება ყოველად შეუძლებელია ვისიმე სურვილზე იყოს დამოკიდებული. კანონის საფუძველი წარმოების ნივთიერ პირობებში უნდა ვეძიოთ.

რასაკვირველია, ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ისეთ კანონზე, რომელიც ცხოვრებაში გაყავთ, და არა ისეთ კანონზე, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე იქნება დაწერილი. ქაღალდზე შეიძლება ბევრი რამე დაიწეროს, მაგრამ თუ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში მას საფუძველი არა აქვს, იგი მხოლოდ ქაღალდზე დარჩება სამუდამოთ. ავიღოთ მაგალითი: ვთქვათ აღმოჩნდა ისეთი კეთილი და ბრძენი კანონმდებელი, რომელიც ბატონ-ყმობის დროს აკანონებს პოლიტიკურ თავისუფლებას, ე. ი. პიროვნების ხელუხლებლობას, ბეჭდვის, სიტყვის, კრების, კავშირის და გაფიცვის თავისუფლებას. ასე-

თი კანონი ბატონ-ყმობის საზოგადოებაში, სადაც პატრიარქალურ-ნატურალური წარმოება გამეფებული, მხოლოდ ქაღალდზე დარჩება. მეორე მხრით წარმოვიდგინოთ; რომ სადმე ცხოვრობს ისეთი უგუნური და უმეცარი კანონმდებელი, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც ერთი მხრით არიან მდიდრები, ბურჟუა-კაპიტალისტები, წარმოების იარაღთა მესაკუთრენი, და მეორე მხრით გაყვლეფილი, ე. ი. მუშები; რომლებიც ქირაზე ყიდიან თავიანთ სამუშაო ძალებს, რომელიც, ვიმეორებ ასეთ საზოგადოებაში სასტიკათ, კრძალავს მუშების გაფიცვას, კრებებს და კავშირებს! დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ეს კანონიც მარტო ქაღალდზე დარჩება და ცხოვრებაში კი მუშების გაფიცვა, იქნება, კრებებიც და კავშირებიც. აქედან აშკარათ ჩანს კანონის მატერიალური საფუძველი. მაგრამ მატერიალური პირობები, ე. ი. წარმოების პირობები მუდამ იცვლებიან, მაშასადამე უნდა შეიცვალოს თვით კანონიც. ეს მართლაც ასე ხდება. მაგრამ ცხოვრებაში ეს იწვევს დიდ შეტყეობას, სისხლის ღვრას და ტანჯვას. ამა თუ იმ კანონის არსებობასთან შეიძლება შეკავშირებულია მთელი საზოგადოებრივი ჯგუფის, ხშირათ მთელი კლასების ნივთიერი ინტერესები, რომლების დათმობა სისხლის დაუღვრელათ შეუძლებელია. ამიტომ ხშირათ ხდება, რომ ამა თუ იმ კანონს მატერიალური საფუძველი თითქმის სრულებით გამოეცალა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ სულ სხვა კანონს მოუშადა ნიადაგი, მაგრამ მიუხედავათ ამისა ძველი კანონი შინც განაგრძობს თავის არსებობას. მიუხედავათ იმისა, რომ ცხოვრებაში მან დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა. აი ამაზე ამბობენ: *le mort saisit le vif* — მკვლარი იმორჩილებს ცოცხალს. ძველ კანონს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ძველ საზოგადოებრივ წესწყობილებას გამოეცალა შინაარსი, დარჩა მხოლოდ მისი გარეგანი მხარე, ფორმა; საწარმოველ ძალთა-განვითარებამ უკვე წარმოშვა და განავითარა ახალი შინაარსი, მოუშადა ნიადაგი და ჩაუყარა საფუძველი ახალ კანონს, ახალ საზოგადოებრივ წესწყობილებას; ძველი კანონი, რომელიც ერთ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებათ იყო გამოწვეული, ახლა აბრკოლებს და აფერხებს საზოგადოებრივი ცხოვრების თავისუფალ განვითარებას. ამიტომ აუცილებელი ხდება მისი სრულიად გაუქმება და თავიდან მოშორება. როგორც ვთქვით, ეს ადვილი საქმე როდია. შეიძლება ზოგან ეს მშვიდობიანათ მოხდეს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს იწვევს სასტიკ ბრძოლას ძველი წესწყობილების დამცველთა და ახლის მოტრფილეთა შორის. რამდენათაც ძლიერი და საგრძნობელი იყო ძველ წესწყობილების არსებობა, რამდენათაც მას მაგრათ ქონდა ფესვები გადგიული ხალხის ცხოვრებაში, რამდენათაც ხანგრძლივი იყო მისი არსებობა, იმდენათ უფრო ძნელია მისი თავიდან მოშორება, იმდენათ უფრო დიდი ბრძოლა და მეტი მსხვერპლია საჭირო მის აღმოსაფხვრელათ. 6 აგვისტოს

კანონის განხილვის დროს ჩვენ არ უნდა გვაიწყებოდეს ზევით ნათქვამი.

რაც უნდა თქვან რუსეთის ხალხის და საზოგადოთ სლავიანთა მთელი მოღმის ტომებრივ თვისებებზე, რომლებიც განსაკუთრებით ხასიათისა, თვითმპყრობელობის განვითარებისათვის მაინც აუცილებლათ საქირო იყო განსაზღვრული ნივთიერი პირობები, ანუ საწარმოვო ძალთა განსაზღვრული მდგომარეობა, ე. ი. პატრიარქალურ-ნატურალური წარმოება. მართალია, თვითმპყრობელობის პრინციპი მაგრდებოდა იმ ხანებშიაც, როცა ნატურალურ წარმოებაში დარღვევის პროცესი დაიწყო და მის ალავს თანდათან იქერდა კაპიტალიკ სტური წარმოება, მაგრამ ეს აიხსნება ერთი მხრით იმით, რომ ნატურალური წარმოება მეტათ ნელი ნაბიჯით ირღვეოდა და მეორე მხრით ასეთავე ნელი ნაბიჯით იკლებდა ფებს კაპიტალისტური წარმოებაც. თვითმპყრობელობის ხანა გამოვლელი აქვს თითქმის ვერობის ყველა სახელმწიფოებს, ვინაიდან იქაც წარმოიშვენ ისეთი ნივთიერი პირობებია, რომლებიც ხელს უწყობდენ მას განვითარებას. ეს იყო დრო შინაური კარჩაკეტილობის, სოფლის ბატონობის, თავდა-აზნაურობის პარაზიტობის და ძალმომრეობის, საწარმოვო ძალთა განუვითარებლობის, როცა ქალაქი საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქმის არავითარ შესამჩნევ როლს არ თამაშობდა, როცა მშრომელი ხალხის—გლეხ-კაცობის ქონებრივ სიღატაკესთან და დაბეჩავებასთან ერთათ გამეფებული იყო სრული გონებრივია სიბნელიე. მაგრამ, როგორც ზევითაც ვამბობდით, საზოგადოებრივი ცხოვრება არ იყინება, ნივთიერი წარმოების პირობები მუდამ იცვლებიან, და მასთან ერთათ იცვლება, რასაკვირველია, ყოველივე ის, რაც მისი შედეგია. ჯერ კიდევ ნატურალური წარმოების დროს ფული თანდათან მტ მნიშვნელობას იძენს. ფულის შემენის საქარება იზრდება, ეს გარემოება იწყევს აღმე-მიცემობის ზრდას, და აი ჩნდება ნიადაგი კაპიტალისტური წარმოებისათვის. რუსეთის განვითარება საზოგადოათ ნელი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ის, რაც სხვაგან შედარებით ძლიერ მოკლე ხანში ხდებოდა, აქ იმისთვის საუკუნეები იყო საქირო. მეცხრამეტე საუკუნის დესაწყისიდან რუსეთის ბურჟუაზია თანდათან იკრფს ძალას და ისხამს ფრთებს. აქედან დაწყებული, რუსეთის აღმე-მიცემობა და მრეწველობა ნელ-ნელა და თანდათან არღვევს წინანდელ კარჩევეტილობას, სამარეს უთხრის ბატონ-ყმურ ურთიერთობას, სპობს სოფლის იდილიურ ცხოვრებას და გულუბრყვილობას, თანდათან უკარგავს მნიშვნელობას და გამავლობას თავდა-აზნაურობას, ძირს უთხრის ძველ წოდებას და სამოქმედო ასპარეზზე გამოდის ერთი მხრით ბურჟუაზია და მეორე მხრით ქალაქის პროლეტარიატი. ამ ნაირათ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსი, საზოგადოებრივი ურთიერთობა ძირიანფესვიანათ იცვლება; მაგრამ ამავე დროს ძველი იურიდიული ნორმები, ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილი და ნატურალური წარმოების ნიადაგზე აღმოკენებული, თვითმპყრობელობის სახელით ისევ ძალაში რჩება. დღითი-დღე აშკარავდება შინაარსის და გარეგანი კანის, იურიდიული ნორმების ყოველად შესუსტებობა. ცხოვრება სულ უფრო და უფრო მეტი სიმკაცრით უპირდაპირებს ერთმანერთს ბურჟუაზიის და პროლეტარიატს, როგორც ერთი მეორის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ კლასებს; ამ ნიადაგზე ხდება პროლეტარიატის გათვითცნობიერება, ე. ი. იმის შეგნება, რომ ბურჟუაზიის კეთილდღეობა, მდიდრების ბატონობა და გამავლობა, მუშა ხალხის დაჩაგრებასა და დაბეჩავებაზე არის აშენებული. ამ ნიადაგზე ატეხილი აშკარა ბრძოლა აუცილებლათ თხოულობს წინანდელ იურიდიულ ნორმების გაუქმებას, იმ ნორმების, რომლებიც შემუ-

შავდენ და გამტკიცდენ იმ დროს, როცა ბატონ-ყმობა არსებობდა, როცა სრული კარჩაკეტილობა და ნატურალურ. პატრიარქალური წარმოება იყო. პროლეტარიატს, რომელსაც ისტორიულმა განვითარებამ არგუნა დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობა და სოციალიზმის განხორციელება, არ ძალუძს შეასრულოს ეს დიდი დანიშნულება თუ მან თავდაპირველათ არ დაარღვია ის იურიდიული ნორმები, რომელიც სხვა ისტორიულ ხანას შეეფერებოდა და დღეს კი გზაზე ეღობება საზოგადოებრივი ცხოვრების თავისუფალ განვითარებას. მაშასადამე, აქედან აშკარაა, რომ უწინარეს ყოველისა ამ დროს გადასულ იურიდიულ ნორმების მოპობა და სამუდამოთ გაუქმება აუცილებელ საქიროებას შეადგენს. ამასთანავე არავისთვის საიღუმლოება აღარ არის, რომ ცხოვრებაში ეს ნორმები უკვე გაუქმებულია, რომ ის, რასაც ამ 20—30 წლის წინეთ კიდევ სოცების ნიშან-წყალი მერჩენოდა, დღეს უკვე მკვდარია ე. ი. არსებული იურიდიული ნორმები, მთელი ჩენი ძირითადი კანონმდებლობა სრულიად აღარ შეესაბამება ჩვენ დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ცხოვრებამ უკვე შეიმუშავა შესაფერი იურიდიული ნორმები, საქიროა მხოლოთ მისი საყოველთაოთ აღიარება. მაგრამ როგორც ზევითაც ვამბობდით, ეს აცვილი საქმე როდია. ისტორიული გამოკლიდება გვეუნება. რომ ეს ყოველთვის რველოუციით თავდებოდა. რაც უნდა განვითარებული იყოს საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოებაში მაინც მოინახებიან ისეთი ჯგუფებია, რომლებსათვის ძველი წესწყობილებას არსებობა და მისი დაცვა მეტათ ხელსაყრელი და გამოსადეგია. ეს ჯგუფები, რა თქმა უნდა, ყოველთვის გაბატონებული კლასების წარმომადგენლები არიან. ესენი თავგამოდებით იტყვენ ძველ წესწყობილებას, ყოველგვარ საშელებას ხმარობენ მისი არსებობის დასაცველათ; მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაც ფიზიკური კანონების უღპობელობით ხდება. ძველი წესწყობილების წარმომადგენელთ ანუ მის დამცველთ შეუძლიათ მხოლოდ სხვა და სხვა გვარი დათმობით დროებით შეჩერონ ეს ბუნებრივი პროცესი.

აი ამ დათმობის ხასიათი აქვს ა ავეისტოს გამოცხადებულ კანონს, ხალხის წარმომადგენელების სახელმწიფო სათათბიროში მოწვევის თაობაზე. ეს კანონი უცვლელათ სტოვებს რუსეთის იმპერიის ძირიადად კანონს თვითმპყრობელობის შესახებ, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი მოუწოდებს ხალხის წარმომადგენელებს სათათბიროთ კანონის შესამუშავებლათ. ხალხის წარმომადგენელების არჩევა ა ავეისტოს კანონით არ ხდება საყოველთაო, თანასწორა და პირ-და-პირი ხმას უფლებით, როგორც ეს სხვა-და-სხვა მოთხოვნებში იყო გამოცხადებული, არამედ იგი წარმოება ორ-კეცი და სამ-კეცი (ზოგიერთ, შემთხვევაში თითქმის ოთხ-კეცი) არჩევნებით და გარდა ამისა ხმის უფლება ეძლევა მხოლოთ ქალაქის დი სოფლის შეძლებულ ხალხს. მშრომელი ხალხი განსაკუთრებით კი ქალაქის პროლეტარიატი არჩევნებში ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებს. მხოლოთ გლეხ-კაცობისათვის არ არის ქონებრივი ცენზი დაწესებული, მაგრამ იმათ წარმომადგენელების არჩევნება (სამკეცი და ოთხკეცი) ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ ეს ცენზე უარესია. თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იმ წესით არჩეულ პირებსაც მხოლოთ რჩევის მიცემა შეუძლიათ, რომ მათი აზრი არავისთვის სავალდებულო არ არის, რომ მინისტრები და მთავარ-გამგებელი როგორც სურთ ისეთ მიმართულებას მიცემენ საქმეს, რომ ეს პირები ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატების წინაშე არავითარ პასუხს არ აგებენ, — მაშინ ჩვენ ადილიათ წარ-

მოვიდგნეთ, თუ რა ხასიათისაა ეს ახალი კანონი. გარდა ამისა აღნიშნვის ღირსია ის გარემოებაც, რომ პიროვნების ხელუხლებლობა, ბუქტვის, სიტყვის კრების და კავშირების თავისუფლება ამ ახალ კანონის გამოქვეყნების შემდეგაც იმავე პირობაში დარჩა, როგორც აქამდის იყო. ცხოვრებაში კი, როგორც ვიცით, დიდი ხანია უარყო ყოველივე ეს და უწინარეს ყოველისა ყველა ამ თავისუფლებათა განხორციელება იქნა დასახული. აქედან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ნ აგვისტოს კანონი დღევანდელს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სინამდვილეს საფუძვლით ვერ ხატავს, და მოითხოვს შეცვლას. და განვითარებას, როგორც კანონივე აცხადებს. ერთით ერთი მნიშვნელობა ნ აგვისტოს კანონისა აი რაში გამოიხატება: მართა ის ამბავი, რომ ხალხის წარმომადგენლები შეეკრიბებინან სახელმწიფო საქმეებზე სჯა-ბაისისათვის იმას მოასწავებს, რომ ბიუროკრატია სამუდამოთ გატყდა, რომ მას სიკდილის ვერავითარი ძალა ვეღარ დაიხსნის რომ რაც დრო გაივლის, ეს გატეხა სულ უფრო და უფრო საგაძრაველი შეიქნება. ამაში ვხედავთ ჩვენ ნ აგვისტოს კანონის მნიშვნელობას და არა იმაში, რომ იმის გამოცემით ხალხს, განსაკუთრებით მშრომელ ხალხს, რაიმე ენიჭებოდეს.

ო მ ი ს ა მ მ ე ბ ი .

ზავის ჩამოგდება

ამ დღეებში მიღებულმა დებულებამ გვაძინეს, რომ ქ. პორტსმუტში (ამერიკაშია) იაპონიის და რუსეთის რწმუნებულთა მორიგებაზე ხელი მოუწერიათო. ჯერ დაწვრილებით არავინ იცის, თუ რა პირობებში მოხდა ეს მორიგება. ცოტა ხნის შემდეგ, ეკვი არ არის, ყოველივე ეს ისტორიის საგანი გახდება. დღეს კი ჩვენთვის საყურადღებო ის არის, რომ ამერიიდან მანჯურიის მიდამოებში შეწყდება უღანაშაულო აღმართა შეუწყვეტელი სისხლის ღვრა, რაც წელიწად ნახევარზე მეტია რომ გრძელდება. რა თქმა უნდა, ეს ამბავი გასახარებელია: რამდენი ადამიანი დახსნილ იქნა სიკვდილისა და ავადმყიდობისაგან! რამდენ დედ-მამას გადაურჩა შვილი, რამდენი ცოლ-მეორი უდროოთ არ დაქვრივდა და არ დაოხლდა! რამდენი სმიდილი გაეფლანგა! ვინ მოთვლის რამდენი უბედურება, რამდენი ტანჯვა და მწუხარება აცილებულ იქნა ოსიხი რწმუნებულის მიერ ხელის მოწერით. და ნუ თუ ეს გასახარებელი არ არის? მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ დღევანდელ სიხარულს რაღაც აკლია; დაუფიქრებელი და ადვილათ გაიგებთ, რა არის ამის მიზეზი. მართალია ბევრი უბედურება და მწუხარება იქნა თავიდან აცილებული, ბევრი უღანაშაულო ადამიანი დახსნილ იქნა სიკვდილისაგან, მაგრამ რაც მოხდა იმას რაღა ეშველება, ვინც სიკვდილს გამოეხალმა და მანჯურიის მიდამოებში და შორეულ ზღვის უფსკრულში ჩაგდია თავის ძვლები, ვინც დაოხლდა და დაქვრივდა, ვისაც ხელიდან მარჩენელი და იმედი გამოგლიჯეს, იმათ ვიღა უშველის, იმათ ვიღა ანუგეშებს? და აი ჩვენ ვეკითხებით თავის თავს: თუ მოლაპარაკებით შეეძლოთ ყველა ამ უბედურების თავიდან აცილება, სად იყვენ აქამდის? წელიწად ნახევარი გრძელდებოდა იაპონიასა და რუსეთს შორის მოლაპარაკება სანამ ომი დაიწყებოდა. მაგრამ საქმე მაინც სისხლის ღვრამდის მიიყვანეს! შედეგ წელიწადი და შვიდი თვის განმავლობაში სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა და ყოველ წუთში შესაძლებელი იყო მორიგების ჩამოგდება, მაგ-

რამ ამაზე ყველა უარს აშობდა. თითოეული დამარცხების შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელი ბიუროკრატია ახალი სისხლის ღვრისათვის ემზადებოდა ძლიერი და შეუპოვარი მტრის შურის საძებლათ. და აი ჩვენ კიდევ ვეკითხებით თავს: სად იყვენ აქამდის! რატომ აქამდის არ ჩამოაგდეს მშვიდობიანობა? ნუ თუ ეს მშვიდობიანობა უნდა გვეყიდა ჩვენ ათი ათასობით და ასი ათასობით ვაწყვეტილი ჯანსაღი, იმოღვინე დასახიჩრებელი და ავთიყოფი მამულისშვილებით? ნუ თუ ამდენ ხანს იმატომ იცადეს, რომ სრულებით უნდოდათ ფლოტის განადგურება და ჯარის სახელის გატეხა? და აი დღეს შეკრულია ზავი! მაგრამ ვეკითხოთ: რა ფასით? რა დაუჯდა რუსეთის ხალხს ეს ზავი? რუსეთმა დაკარგა რამდენიმე ასი ათასი საუკეთესო მამულისშვილი, — ჩაღუბა ძლიერი ფლოტი, და აუარებელი სიმდიდრე! და ნაცვლათ ამისა დაიშახურა გაუნათლებელი, ველური და ბარბაროსული ქვეყნის სახელი. აი რა უღირს რუსეთს ეს ზავი? და განა ამისათვის ღირდა ომის დაწყება და იმის წაყვანა? მართლაც რომ არ ღირდა, მაგრამ ვის ენადღებოდა სხვისი სიკოცხლე ან სიკვდილი, სხვისი გასაჭირი, სხვისი უბედურება? ყველაფერში განუკითხავი ბიუროკრატია მოქმედებდა თავის სურვილით. მან დაატეხა რუსეთის ხალხს ენით გამოუთქმელი უბედურება. დღეს ომი შეწყვეტილია, მანჯურიის მიდამოებში ჯერ კიდევ კარგა ხან ზარბაზნები აღარ დაქექებენ, მაგრამ რაც გატყდა იმის გამოთვლება ყოველად შეუძლებელია. ზავის შეკრით საქმე ჯერ არ არის გათავებული. რუსეთის ხალხმა დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს იმის გამოძიება, თუ ვისი წყალობით და რა ზიზვით დაატყდა მას თავზე ეს ამოღენა უბედურება.

მოციხილური ცნობა

(„კავკაზი“ № 205)

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ს 170 ნომერში გადაბეჭდილი იყო „ივერიიდან“ ცნობა იმის შესახებ, რომ სოფ. მჭადის-ჯვარში მომხდარ შეტაკების დროს მოკლულია 30 კაცი და დაჭრილია 40-ზე მეტიო. ეს რიცხვი გაზვიადებულია. მაზრის აღმინისტრაციის ცნობებით, პირველ დღეს აღმოაჩინეს 7 მოკლული და 12 დაჭრილი, მაგრამ, რადგანაც იმ დროს ყოლომაზე ბევრი სხვა სოფლიდანაც იყო მოსული, მათ შორის გორის მაზრიდანაც კი, და დაჭრილები ცდილობდნენ, დამალულიყვნენ შესაძლებელია, დაშავებულთა რიცხვი უფრო მეტი იყოს, მაგრამ ასე ბევრი კი არ იქნება. „ივერიის“ მიერ გამოქვეყნებული და „ნოვოე ობოზრენიე“-საგან გადაბეჭდილი ცნობა ალბათ დამყარებულია შეუმოწმებელ ცნობებზე, ამიტომ და ორივე გაზეთს წინადადება ეძლევა, ეს განმარტება გადაბეჭდოს.

სოფელ მჭადის-ჯვარში მომხდარ სამწუხარო შემთხვევის გარემოება შემდეგში მდგომარეობას: რადგანაც ამ სოფლის გლეხები ღლის მიცენაზე უარს ეუბნებოდნენ თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, 31 ივლისს მაზრის უფროსმა გაგზავნა ამ სოფლებში ბოქეული, რომელსაც დაეველა, სხვათა შორის, სამი გლეხის დატუსაღება, რომლებიც სოფელს აქეზებდნენ, მემამულეს არაფერი მისცეთო. ეს გლეხები რომ დაიპირეს, სოფელ მჭადის-ჯვარში გლეხებმა შეკრიბეს 300 კაცი და დატუსაღებულნი ძალით გაანთავისუფლეს. მაშინ სოფელში გაიგზავნა კვითა ჯარის ნახევარი როტა და რამდენიმე კახაკი, რომელთა დახმარებითაც გლეხებს გადაახდევინეს მემამულის კუთვნილი ღალა, მაგრამ ხალხის მიერ განთავისუფლებულმა სამმა გლეხმა დამალვა მოასწრო. ხალხმა თან წაიყვანა აგრეთვე მოსამსახურენი, ორის გარდა. 3 აგვისტოს მემამულის სავსლთან დილიდანვე შეიყარა თავი ხალხმა. სოფ. მჭადის-ჯვარს გარდა იქ იყვნენ არამც თუ დუშეთის მაზრის სოფლებიდან, გორის მაზრიდანაც აი.

შუადღისს მემამულის ალაყაის კარებთან თავი მოიყარა ათას კაცზე მეტმა, რომლებიც თხოულობდნენ წინა დღით წაღებულ ღლის დაბრუნებას, ამასთან ჰყვიროდნენ და კეტებსა და ორთითებს ხელში ატარებდნენ. პატარა ხანს უნან, იმ ადგილას მივიდა მაზრის უფროსი. გლეხებმა მაზრის უფროსს კატეგორიულათ და უკმებთ განუხადეს, ჩვენ

შევიყარებით, რომ წავართვით უკანვე მემკობლეს ღაღები, რადგან ამის შემდეგ მემკობლეს ადარაფერს მიცემთ. მაზრის უფროსი ბევრს ეცადა, ხალხი დაემშვიდებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა და, როდესაც ბოლკონიკმა ფონ-ბაუმგარტენმა გააფრთხილა ხალხი: იძულებული ვიქნები იარაღი ვინმარო, ხალხი მას ვარშემო შამოერთყა და მისი და ზოგაულის ცემა მოინდომა. მაშინ მაზრის უფროსმა წინადადება მისცა კახაყების აფიკერს, ხალხი გაეფანტა. აფიკერი უკახაკთ მიუახლოვდა ცხენით ხალხს და სამჯერ სთხოვა დაშლილიყვენ, მაგრამ პასუხათ ქვემი დაუშინეს. აფიკერი გამოტრიალდა, გაამწვრია კახაყები, უბრძანა, ხმლები ეშვიშელათ და ამ გვართ გავმართა ხალხისკენ, ამ დროს ერთი გლეხი მივარდა აფიკერს ორთითი და უნდოდა დაერტყა, მაგრამ ცხენი ყალხზე შესდგა და აფიკერს ორთითი ასცადა, მაგრამ თავში ქვა მოხვდა და ცხენიდან გადმოვარდა. აფიკერი წამოვარდა ბრძანება ვასცა, ხალხისათვის ესრულათ. 22 კახაყის ვარდა იქ იყო ქვეითა ჯარის ნახევარი როტა, პრაპორშჩიკის უფროსობით. ერთი ვეზალი და აფიკერი მასთან გავხავილი იყო მემკობლეს სახლ-კარის დასაცავით, დანარჩენები კი კახაყებთან ერთათ იყვნენ. ქვეითა ჯარს სრულა არ დაუწევია. სროლის შემდეგ ხალხი გაიქცა. ამის შემდეგ ცნობები მოვიდა, 300 კაცზე მეტი მთებთან სოფელში მიდის გლეხების დასახმარებლათ. აფიკერი კახაყებით მათ უნდოდა და გაფანტა ისინი, ხალხმა ზარების რეკა ასცა და ამით წინ შედგა დასახმარებლათ ქ. დუშეთთან ხალხი მოეკრიბათ, მაგრამ მიზანს ვერ მიახწვიეს. დაიპირეს ერთი, რომელიც ხალხს აღლუვებდა.

შეტაკების დროს როგორც ჯერ-ჯერობითაა გამოკვლეული, გლეხებ-მორის დაშავდა 19 კაცი. მოკლულია 8 და დაჭრილია 12. ამასთან მოკლულთა რიცხვში სოფელ მკადის-ჯვარის მცხოვრები მხოლოდ სამია. მეორე მხრით აფიკერის ვარდა დაშველებულია ორი კახაყი და დაჭრილია კახაყების რაოდენიმე ცხენი. დაშველებულ ბირველი დახმარება აღმოუჩინა კახაკთა რაზმის ფერშალმა, ხოლო ღამე მოვიდა მაზრის ექიმი, რომელმაც ყველას ხელ-ახლა შეუხვია ტერობებში.

5 აგვისტოს იმ ადგილას მივიდა გენერალ-ადიუტანტი თავადი ამილახვარი. რადგანაც გლეხები მემკობლეს სახლ-კარს განადგურებდას უქადიან, იქ ჯარის ერთი რაზმი ჩაყენებულა.

8 აგვისტოს დღისით, სოფელ მკადის-ჯვარიდან სამი ვერსის მანძილზე მიმავლთ ერთ სტრუქციასა და ორ კახაყს საფორიდან თოფები დაუშინეს. ერთი კახაყი იქვე მოკლეს, მეორეს ცხენი დაუტრეს.

10 აგვისტოს მკადის-ჯვრის გზაზე ორი ტყვიით დასტრეს თავივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

რადგანაც გორის მაზრის თავად-ანაურები აცხედებენ, რომ მათ მოკლეს უქადიან და ძალას ატანენ გახუთებში გამოაცხადონ, რომ თავის ნებით გლეხებს უთმობენ სანდელთა მიწებს და თანახმანი არიან საკუთარ მიწებში მეთოხედის მაგივრათ მეთუელი მიიღონ, გორისა და დუშეთის მაზრებში ნაშტრეის მიერ გავხავილი გენერალ-ადიუტანტი თავ. ამილახვარი აცხადებს, რომ ამგვარ ცნობებს ყველა სიფრთხილით მოეყრას.

რეპოლუციონური მოძრაობა კოლონილებსა და მზრალეზში.

ოფიციალური ცნობა.
(რუსეთის საავტენტოს დეპეშა)

ვარშავასა და მის მახრამო სანხედრო წესებს გამოცხადებისა გამო, ზოლიციის დეპარტამენტმა დაბეჭდა ებრაელთა „რუნდისა“, და დასავლეთ მხარეში მსხორებ რუსთა სოციალ-რევოლუციონერების ისტორია, იმ დროდანი, რაც შარშან, რევოლუციონერები შეთანხმდენ ერთათ სიმოქმედით. დეპარტამენტი აღნიშნავს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ვარშავის არქი-ეპისკოპოსის ზოპელიას და სხვა გონიერ ზოლიციელთა რეკა-დარბევამ ვერ გასტკრა და მოძრაობას ბოლო ვერ მოუღო. ეგვლაზე საყურადღებოა ის უწყობებანი, რომლებიც ბელესტოკის და შემდეგ ვარშავაში მოხდა. 30 აგვისტოს, ბელესტოკში შეიშენეს ორმოცამდე უსაქმო სხალგაზდა ებრაელი, რომლებიც უწყობების დაწესებამდე ვარშავიდან და ღობიდან ჩამოვიდენ. ამ დღეს, ნაშუადღევს, ასე, სიმ სათსე, სიმასამდე ებრაელი უბნათ ქეჩასე გამოიფინა. მათ მეთაურობდა ებრაელივე. ბრბომ მუქართი მიაშურა სურაყის ქეჩასე მდკომ ჯარისკაცს, რომელმაც თავის დასაცველათ იარაღს მივშართა და ერთი

ებრაელთაგანი დასტკრა. ბრბოს გასივარტყათ მდე მოვიდა მორივე როტა, აფიკერის მეთაურობით. როტას უემბარა ესროლეს. დასტკრა სამი ჯარის კაცი. როგორც კი გავარდა აფეთქების ხმა, თითქო ეს ნიშანი ეთფილიეოს, სხლდის სახურავებსა, ფანჯრებს და გამოსავალ კარებიდან ასტრეს რევოლუციონერების სროლას. ესროდენ ზოლიციელთ და მათ გვერდით მდკომ ჯარისკაცებს, ესენინ იძულებული შეიქმნეს სროლას დაეწყოთ, რასაც შედეგათ 35 მოკლული და დაჭრილი მიჰქვდა. 30 აგვისტოს ბელესტოკში დახრცილათა პატრისანცემლათ ვარშავის სარეოლუციონერ ორგანიზაციებმა სისკელი სინასრისი პროკლამაციები გამოსცეს და ეგვლას იწვევდენ, რომ 5 აგვისტოს საერთო გაფიცვა და დემონსტრაცია მოესდინათ. ამასთანავე ზოლიციის სოციალისტური პარტი აუწყებოდა, რომ მისმა მუხრამდამ ორგანიზაციამ დაპრტავის სხასისი გაძარცვა მოახერხა და და ათი ათას მანათე მეტი წააღო. სხასინების გაძარცვა უნდოდათ აგრეთვე ქ. ქ. ვენგეროვის და ლიუბარტოკში, მაგრამ ვერ მოუხდათ, მხოლოდ სხასინის დამცველთაგან რამდენიმე კაცი იქნას მოკლული. 4 აგვისტოს სლამითი პარტეელთა ზეინკელი გაფიცენ. 5 აგვისტოს დღით მხოლოდ ზოგერთი ფანჯრები და მუშაობდენ, ნაშუადღევ კი მუშაობა ეგვლას შესწყდა. ამავე დროს ვლადიმერ ტელეფონით უბრძანა ვაულებურების სახანკო კანტონას მუშაობის შეწყვეტა. ასეთივე მოთხინალება წარუდგინა სიმამ უმწვიებმა კაცმა უნტონ ბანკსაც, მდე ეგვლას კედო საერელიტო დაწესებულებანიც დაიხურა. განხრახვა ქქინდათ ქეჩასი ეტლების მოძრაობაც შეეჩერებინათ და ტელეფონის მათეთლები დაეჭრა, მაგრამ ზოლიციის ზომების მუხრებით, ვერა გააწყეს-რა. 6 აგვისტოს, სლამით 7 სათსე. სხვდით დასტრეს უბნის ზედამხედველი. 8 სათსე სიმამ კლავტოზმს დანით რამდენიმე ადგილას დასტკრა თავისივე ამხანაგი, რომელმაც წინა დღით გაფიცვაზე უარი განხრახდა. რვა აგვისტოდან უწყობებს უფრო გააწყვდა. პროვისლანის რეინას გზის სვდგურ არაგოს მახლობლათ მეთეფ ფაბრიკების ხუთასამდე მუშა მივიდა რეინას გზის სხვდისნობებში და მუშაობის შეწყვეტა მოათხოვა. აქედან მუშები გავეენ დიანდაც, შეჩერეს ოთქმავალები, წახინდეს ტელეკრაფის ახმარატები, დასწერატეს მათეთლები და მოსამსხურენინც განდენეს. ნოვო-გოთრგი-ევსკიდან მომავალი სხხალხო მატარებელი პრავაში გაჩერეს და ვარშავაში შესვლის ნება არ მისცეს. ასევე მოხდა პრესტრეის რეინას გზის სვდგურ ვარშავაზედაც. შემსქენეთა გაფიცვის გამო, ვარშავიდან მლავასა და ვოდეამდე მატარებლები მიმოსულა შესწყდა. სვდგურს ჯარი იცავდა. 9 აგვისტოს ვარშავისა და მის მიდამოების ეგვლას ქარხნებმა მუშაობა შესწყვეტეს. რეოლიუციონერები ამ გამარჯვებით არ დაკმაყოფილდენ. ძლიით დააკეტეს კედო ბანკები, სხვდისწითო ღვინის საწობები, მოსხეს ვაჭრობა და რეინას გზაზე მიმოსულა სავსებით შეჩერეს. რამდენჯერმე თავგამოდებოთა სვდეს ქეჩებში დემონსტრაციისა და უწყობების მოხდენა, რის გამოც ზოლიციასა და ჯართან შეტაკება უხდებოდათ.

სოციალ-დემოკრატების ზე-გავლენის ქვეშ, ტერორი თვით მუშათა შორისაც კი გავრცელდა. სსჭირთა მოციხენით, რომ მუშები იძულებული შეიქმნენ თავის ამხანაგთ უკედურესი ზომები დაეკმით და წინ აღსდგომოდენ. მავალითათ ერთმა სიადუმლო მომქმედმა ორგანიზაციამ პროკლამაციები გამოსცა და სთხოვა ამხანაგებს, ძლას ნუ დაეატანთ იმთ, ვისაც გაფიცვა არ უნდათ. მეორე—სოინისტ—რევოლუციონერ ხსინათის ორგანიზაციამ პროკლამაციებითვე აუწყებდა: ის, ვანც ძლადატნებით ავროგებს ფულებს, ზეინა მომხრე არ არის. ზოლიციის სელესანი სხალგაზდობა სთხოვდა თავის თანამემამულეთ: სოციალისტები ტერორს ნუ თანაუგრძობთ. მაგრამ ამ მოწოდება და დარბევებმა ვერ გასტრეს. ებრაელთა და ზოლიციელთა სოციალ-რევოლუციონერი პარტიები თანხმობით მოქმედებდენ და მედგრათ პროპაგანდას ეწვეოდენ. აგვისტოს მეთრე ნახევარში ებრაელთა „ბუნდმა“ დიდი უწყობებიანი

მოახდინა ბერძენის, ლიუბლინის, კოვნისა, ბელოსტოკის, ეპტურინოსლავის და დასავლეთ რუსეთის სხვა დაბა-სოფლებში, რასაც სამხედრო წესის შემოღება მოჰყვა.

რეპოლიტიზაციური მოძრაობა დასავლეთ რუსეთში.

ოფიციალური ცნობა

(პეტერბურგის სააგენტოს დეპეშა).

ბალტიის მხრის ლატიშების სასოციალიზაციო მოძრაობა წარსულ საუკუნის უკანასკნელ შუათმედში დაიწყო. დღევანდლამდის მხოლოდ ადგილობრივ თვითმართველობის მოხაზუბის ცდილობდნენ, მაგრამ 1903 წლიდან დაიწყო მოქმედება სოციალ-დემოკრატიკაში, სოციალისტ-რევოლუციონერებში და ლატიშელ-მუსოთა კავშირში; ამით მოქმედებს რევოლუციონერი ხსენათა მიერ და ამ მოძრაობამ უკიდურესობამდის მიადწია ამ წლის ზირველ თვეში.

თუ რა ზომების ხმარობდნენ რევოლუციონერები მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციების დროს, — ნათლათ ჩანს შინაგან საქმეთა მინისტრის სახელმძღვანელო კრების კანონ-მიერ გაკაცხვილ საჩივრად. მომხიარია აუწყება, რომ ბრმა ძალის-ძლათ ათრეველ თავის წრეში ქუჩაში მიამკლათ. მისამსხურე ზიროთ, და ნაქტრავთ ზოლიციელთა მოკვლის განზრახვა — მათი გეგმავთ. ლიფლიანდიას და კურლიანდიის გუბერნიამი მოკლეს ოთხი მოხელე, თავს დატყენ ოთხ კერძო კაცს და ორი მათგანი მოკლეს; თავს დატყენ აგრეთვე ზოლიციელებს ექვსჯერ, ზატრელებს — სამჯერ. მოძრაობა გადავიდა მახრებში. აქედ ანარქისტური მიმართულება ქონდა; მოკვლა, გადაწვა, მატრებლების ლიანდაციდან გადატება, რკინის გზის, ტრეკრავის და ტრეკოინების გაფუჭება, ავიატროთა ხელში შეოფთ შეკიდროთ ტერორიზაცია და სხვ. მარტში მოძრაობას ჟერ სურთო ხსენათი არა ქონდა მიღებული. მოძრაობა გაფართოვდა უნებ ახალ ავიატროთა მოსვლით, რომელნიც, ადგილობრივ ავიატროთა დახმარებით, აქტრებდნენ ქარხნისა და მიწვერის მუშების მოთხოვრავთ ხელფასის მომატება, სამუშაო დღის შემოკლება და სხვა. ზირლიან მორე ნახევარში მოძრაობამ თავი იხიანა ლიფლიანდიის გუბერნიამი, ნამეტრავით კი კურლიანდიის გუბერნიის ფონდენსიას და გაზენბოტსკის მახრებში. ახრალი — დემონსტრაციებთ დორჩანვთა ეკლესიამიაც კი ხდებოდა. უდიერთ ბღაჯადენ მღვდრეელთა სარწმუნოებრივ გრძინობას, მღვდლებს კი ტეშდენ და სხედრადან გარეთ ერეებოდნენ. მასისა და იულისში დემონსტრაციებთ თითქმის ყოველ კვირას ხდებოდა ლიფლიანდიის გუბერნიის ვენდენისა და რიგის მახრებში და აგრეთვე კურლიანდიის გუბერნიის მიტავიანის მახრებში. აქედ მოქმედებით შერეანხოფას აგრებდენ ამ მღვდლებს (ზანტროვის) რომლებიც დემონსტრაციების მოთხოვნილებათ არ ასრულებდენ, სწავადენ შემოშუქეთა სახლ-კარს და ორჯერ შეტვადენ რკინის გზის გაფუჭებას. ვინაიდან რამდენიმე ადგილას ეკლესიებთ წაიბილწა, აგინსში, კონსისტორიას იძულებული შეიქმნა განკარგულება მოხდინა ეკლესიების დროებით დახურვას შესახებ, მაგრამ რევოლუციონერებთ ეკლესიებში დემონსტრაციების მანდ ახდენდენ. საფუძველი გაუქმს ვიფიქროთ, რომ ეს დემონსტრაციებთ ხდებოდა მუსოთაკან, სარეოლუციო ორგანიზაციების წაქეშებით. 1 იულისის, ლიბავაში, ამ დროს, როდესაც ზანტროთი მღვდრელებს საშლეთა წერილს უხსნიდა, სხედარში შევიდა ექვსი კაცი, ზანტროს გვერდით ამოუდგა და უწმარწრათ გადაკეთებული ლოცვა წაიკითხა, ხოლო, როდესაც მღვდრელებს გარეთ გასვლა თხოვა, იგი დანით დაჭრეს. ლიბავაშუე განიზრახეს გოროდოვოთის მოკვლა. 15 იულისს ზრუფელის ტუეში ჩაუსაფრდენ კახკათა რახმს, რომელსაც დაუჭრეს ურადნიკო, მოუკლეს აფიციერი და სამი ცხენი. 16 იულისს, ფოლმარის მახრის დიდერნის ბახრობასზე მოკლეს ზოლიციელი და ურადნიკო, მორე დღეს, ვენდენშიც აფიციერს კვამოკლეს ურადნიკისა. 22 იულისს დემონსტრაციის მოხელეებში შეიზ-

ურეს ვილდ უნობი, რომელსაც გერმანიის გემიდან აგრძელე გამოციმათა მოკლი ტრანსპორტი გადამოქნდა. როცა უნდარმისა და სტრანციუს ეს დამნაშავე ცხენში მიეყვდით, ვილდ სავსა კანთა სროლა ასტეხეს. მძიმეთ დაჭრა თვით დამნაშავე და სტრანციკო. იგინის გასულსა და იულისში მოძრაობა ლიფლიანდიისა და კურლიანდიის გუბერნიების სოფლებსაც მოკლო და სავსარ სხე მიადო. ამ დროს მოტკლეს მახრის უფროსის თანამეშვე შიადტო. მოელის თვის განმავლობაში კადეე რამდენიმე მკვლელობა მოხდა. 29 იულისს მოკლეს ლიბავის მახრის გელთა კომისარი, ხოლო 17 — შემომულე ბარონი ადოლე ბისტრონი. 12 იულისს მოძრაობა დაიწყო რიგის მახრებში — სდვრე რომერგოვის მახლობლათ რვა მამულში და სდგურებ კოჟურგუხინისა, რიმინკსდროვისა და კს-ტეკლობლის მახლობლათ — 14 მამულში. მოძრაობის კავრეცხლანს ხელი შეუწეეს რიგიდენ მოსულთა ავიატროებმა. მოძრაობამ ვეველავე უფრო თავი იხიანა რიგისა და ვინდის მახრებში 10—13 იულისს. ადგილობრივთა მთავრობა იუწეებოდა, რომ მახრებში სრული ანარქიასო. ვინდენის მახრის ოტენის ვოლოსტის სამმართველოში დახავს მეუის სურათები, მამსახლისისა და შწენას კი წათელი დროებთ ატრებიანეს. კურლიანდიის გუბერნიამ ბოროტ მოქმედებმა გადასწრეს ტრეკრავისა და ტრეკოინის მავოულება. რევოლუციონერების მეთაურობით გელთა მოძრაობა დაიწყო დებელის ვინდავისა, მიტავიანისა, ფონდენსიასტრისა, ტუეშისისა გოლიანისა და გრობინსკის მახრებში. ადგილ ადგილ კარნახული მანდრებთი დარჩა. შუარადებული ბორობა მიწდრეებადენ მუშების ერეკბიან, რეოლუციონერებს ესერან, თავს ესხმან შემომულეთა სახლ-კარს, ხწვენ ძნებს, შენობებს, სოფელის სასამროლოთა ჟარში გასაწევეთა შესახებ საშუთის ქდადლებს. ამ ბოლო დროს მოძრაობის რამდენიმე მეთაური შეიპყრეს. დემონსტრაციის ახრით, მოძრაობა სამმარხ ხდებდა და მწვევდებთ რიგიდენ მოსულ ავიატროთა მოხებით. რიგამდენ საქმე ძალზე გამწვევებულდა. ზემოთ ჩამოთვლილთა ამბებში მთავრობა იძულებული ჰყო კურლიანდიის გუბერნიამი სამხედრო წესები გამოეცხადებინა.

სხეი და სხეი ამბებთ.

— ქიათურიდან იწერებინან, რომ შავი ქვის წარმოგებამ შესამჩნევით იმატა ბოლო ხანებშიო.

— ლუშეთის მახრის თავად-აზნაურებს ათს აგვისტოს სავანებო კრება მიუხდენიათ. ვაზეთ იწერის "სიტყვით თავად-აზნაურებს კომისია აურხევიათ, რომელმაც უნდა იზემ-ღამოლოს ნამესტნიკის წინაშე: აგლები ლუშეთის გოდასახლობელ იქმნან თავად-აზნაურთა მიწებინან. კომისიის შეიგვენენ: ივ. გ. ამილახვარი, გრ. ზანდუცილი, ვ. ხიმშიაშვილი და გენერალი ქილაშვილი.

— როგორც ლუშეთიდან გვატყობინებენ, 10 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, მოკლეს ძალოსელი მემამულე ივანე დიმიტროს-ძე მუხრანსკი, როდესაც იგი ლუშეთიდან თავის ნათესავ მუხრანსკისთან ერთად სახლში ბრუნდებოდა. როცა მგზავრები მკლდის-ჯვარსა და წილკანს შუა ტყეში შესულან, საიდანღაც სამჯერ თოფი გაკარდნილა. ერთი ტყვია მოხვედრია მუციელში, და მეორე — უბეში, სადაც რევოლვერი სდებია, რევოლვერიც გაკარდნილა და მკლავში დაქრილა. დაქრილი გზაშივე გარდაიცვალა.

— საშინელი ამბავი მოდის შუშის მახრიდან. სომხებისა და თათრების შეტაკება ნამდვილ ბრძოლათ გადაიქცა. 17 აგვისტოს, როგორც ალუშა ლუისის რედაქტორს ატყობინებენ, მოკლავთ 11 სომეხი და 34 თათარი. ამ ამავს საშინლათ გაუბრაზებიათ თათრები და დარვენიან შუშას. ქი-

ლაქში განუწყვეტელი სროლა და თოფ-რევოლვერების ქახა-ქუხია. გუბერნატორი ყაზან-რუსებით თითონ წასულა შუშაში. ჯარში არიან მოკლულები და დაჭრილები. ქალაქში ბევრ-გან ცეცხლი პრიადლებს, იწვის მთელი უბნები, აღი მოედო შუშა, ჯებრალის და ხანგებურის მაზრებს. არსად აღარ ინდობდა ერთმანეთს სომხები და თათრები. საღვურზე წადე-ქდასა ამხანაგობამ დაკეტა თავის კანტორა. რკინის გზის მო-სამსახურენი შეიარაღებას თხოულობენ.

— 9 აგვისტოს სოხუმში, როგორც „ს. ვესტ.“-ი გად-მოაქვეცხმს, ერთ მატროს ქუჩაში „ჩისტის“ გაუკეთებია აფი-კრისთავის, მაგრამ ამ უკანასკნელს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და ისე გაუვლია. მაშინ მატროსი მისულა და უკითხნია, რატომ ყურადღება არ მიუქციეთ ჩემ „ჩისტს“ და პასუხი არ ვამცითო. აფიკრის განკარგულებით, მატროსი დაუბატონრებიდათ.

— სამხედრო სამართალში მიუციათ ქიათურის მცხოვრე-ბნი აზნ. პლატონ და შალვა ჯაფარიძენი, სევასტიან სანაძე. სარდიონ კაპანაძე, იოსებ კირკიტაძე და დიკუნის შვილი მიხეილ ვაშაძე. ამთ ბრალდებათ სხვა და სხვა დანაშაულო-ბის ჩადენა 24—25 თებერვალს ქიათურაში; სახელდობრ— მკვლელობის განზრახვა, სასიკვდილოთ დაქრა, სახლის გადა-წვა და სხვა. საქმე საომარ დროის წესებით გაირჩევა (კავ.).

და ა მ ო ე ლ ი ს ა მ მ ე მ ი

კახეთი, (სოფ. გრემი). 8 ამ თვეს, შუადღის 12 საათზე ს. გრემში საშუხრო ამბავი მოხდა. ამას წინეთ აქ მოვიდა მიწის მზომილი ერთი სადავო ტუის დასამიჯნავათ, რის წინააღმდეგო იყო გრემის გლეხ-კაცობა და არ უშეუბდა წახელეს ტუეში. აი ამ დღე-საც ცდა მან თავის საქმის შესრულება, მაგრამ ხალხი გაუდგა წინ ტუეში მიმავლს და თხოვა უკან დაბრუნება... მიწის მზომილი გაუთქდა და საშეღათ მიდისო ჩვეულებრივი ძალა—უახსები (ესენი რამოდენიმე ხანია გრემში იმუთფებან). რამოდენიმე წამის შემდეგ გაისმა ბრძანება ბოჭალ-გედუჯანიშიღისა:— „ესროლეთო“ და, და რასაკვირველია, შესრულებულ იქმნა. ხალხი გაიფანტა მა-გრამ უმეტი გუბან იყო: დახტილი აღმოჩნდა სუთი სული: ორი დედაკაცი, ერთი 14 წლის ქალი და ორიც მამაკაცი. გარდა ამის დაჭრილთა 8 რომელიაჯნ ზოგის გადაწინეს სეჭვობა. დახტილუ-ბის დასაფლავება მოხდა 10-ში რასაც აუარებელი გლეხ-კაცობა და-ესწრო. კუბოებს ამოდენ გვირგვინები საშეღოვარო წარწერებით. თელავიდან გაიგზავნა სამი გვირგვინი. სასაფლაოზე წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა.

ამავე დღეს თელავში, ფერანცელების ეკლესიაში გადახდილ იქმნა ზანაშვიდი დახტილ გლეხების მოსახსენებლათ. ხალხი ბლო-მათ დაესწრო. ამ დროსთვის მთელი ბაზარი დაიკეტა, ზანაშვიდის გათავებისას წარმოსთქვეს სიტყვები:

9 ამ თვეს დანაშაული იყო თელ. კლუბის დარბაზში კონ-ტრერტა, რომელიც აქურმა ახალგაზღობამ გადაადგინა გამკეებს სხვა დღისთვის, კრემში მომხდარ უბედურების გამო.

მეოცე საუკუნე.

გურიი. სულ ორი სამი წელია რაც კურულებმა შედეგს შე-შენების ჭეშმარიტ გზაზე ფეხი და ამ ცოტა ხნის განმავლობაში ასანი შესამჩნევია სასწრაფოთ წავიდენ წინ და თავალსახინო ცელი-ღება მოახდინეს თავის ცხოვრებაში. ვოველგვარ ბეურთვარტოულ დაწესებულებას სრული უნდობლობა გამოუცხადეს; რადგანც ეველა დაწესებულება, რომ ასეთი დაწესებულება მათთვის მანებელი იყო და არა სასარგებლო. სანატორესო ის არის, რომ არამც თუ

სასმართლოს და ზოლიცის გამოუცხდა ხალხმა უნდობლობა, არა მედ მან დღევანდელ სკოლებსაც ზურგი უხეუნა. „არ გვიინდა, არ გვისურს მაგნარ სკოლებში თავის ტუხა და მიაიმუნობაო.— ერთ სმთ შეუქვიარეს ზატარა მოწაფეებსა მშობლებთან ერთათ და სკოლა მიატოვეს. ამას წინათ ჩამოიარა სასწავლებელის ზედამხედველმა და გამოუცხდა ხალხს: „დავიწყეთ სწავლა, როგორც თქვენ გან-დათ ისე აქებთ, ქართულსაც ბევრს ვასწავლით და რუსულსაცო“, — მარა ხალხი კვლავ უარს აცხადებს, დღევანდელ ზირობებში არც ჩვენ და არც ჩვენს შვილებს სწავლა არ სურს, თქვენ ხუდარ წუხ-დებით, ჩვენ თითონ როგორც გვიინდა ისე მოვაწვობთ სწავლას საქმესო. დაახ. რაც დრო გადის ხალხი უფრო და უფრო რწმუნ-დება თავის ძალაში და ადარავის თხოვს ახვეულობას. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნათ ერთა საშუხროთ გარემოება. „რამდენი არ ეცდა გურულმა ხალხმა, რომ ქურდობა და ავასჯობა მოსწობილიყო, მა-გრამ დღემდის ვერას გახდა. აქა-იქ, მაინც გაიგონებთ უსამო-ვნო ამბავს, რომ სადმე ვისმეს დაევენ განცრდევს და გაქურდვისო. რა ეი არავითარმა საშეღებამ არ იმოქმედა ჩვენებურ ხულოცებებზე, ამ ბოლოს ხალხი ამ აზრს დაადგა, რომ ასეთი მოსუქენარი ხე-ლოცანი სხეების სამავალით დავსჯათო!...

ამ ბოლო დროს საზოგადო ფერულში მამა კაცებთან ერთათ დედაკაცებზე ჩაებენ, ამოაცდ აირჩიეს ათისთავ-ასისთავები და თუ ქალებს შორის მოხდება რამე სა-მხსნავო საქმე გასარჩევი ისევ ქალები არჩევენ და აწივრებებენ. ერთ ოზურგეთელ ქალს, რომელიც ცნუდო ეოთაქვევია ქალათ ეოო ცნობალი და რომელიც ბევრა უდნაშულო მსხვერპლი ჩაუყვანა ბათუმში და გუუიდა—სამუდა-მით დასაჯეს.

მოსდა აგრეთვე ოზურგეთის ეველა ეტლების შეეტლეთა კურბა, სადაც ერთსმთ დადგინეს: არავის ნება არა აქვს ფატიონში თიხი კაცის შეტი ჩასვას თუ გასაჭირი აქებთა შეიძლება მეხუთეს კოზლა დაუთმონ. თუ ვინცინობაა გზაზე ვინმე ძალათ ჩაუჭვუ-ბა იმისი სხელი და გვარი უნდა ჩაიწეროს შეეტლემ და მისი ვანაობა გამოაცხადოს.

სილია.

სახჩერეს მხარი. საჩხერე ძალიან მოძრავი და ცოცხალი და-ბაა. ის ბაზარია მთელი რაჭის და ახლო-მასლო სოფლების. აქ მოაქვთ სხვა და სხვა ხორბლუელობა, რომელსაც უმეტეს შემთხვე-ვაში რაჭველები უიდელობენ. ხშირათ შეხედებით ქარავანივით გან-მულ რაჭველების ცნუნებს სიმილით სავსე ტომრებით დატვირთულს. ამას წინეთ ერთმა შექვიოფანებულმა თავდათავანმა ჩამოიარინა შუა ბაზარში ევირილით: ეოო, თქვე დემოკრატის ასისთავებო და ათის თავებო! აბა ვინც ბიჭი ხართ გამოდით, მე გამისწორდითო.

იქვე ახლო დატვირთული ცნუნებით რაჭველები მიდიოდენ. ჩიგინი ქვევინის რაინდმა“ ეუველა ამთ და შუტოა, თან რამოდენიმე ჯურ მათრახიც გადაგრა. რაჭველებმა ეს არ დასთქეს. ვინაჲს მია წამოემუველა და ასტუდა ერთი ალიაქოთა, რის შედეგიც ორი მო-კლეული ცნუნი აღმოჩნდა რაჭველების მხრივ. სოლო თავ-ზირის მტრეუვა კიდევ სხვა. ახმურდა ბაზარი, გამოეფინა ხალხი და ჩვენმა რაინდებმაც მოუსვენს შინისეგნ რაჭველები სოფელ უქმირი-დან იევენ. ამ სოფლის გლეხები ძალზე იმუქრებან, ჩვენ არ შე-ვარჩნეთ საჩხერელ თავადებს ჩვენი მეზობლების ტემისო.

დაბა საჩხერეს მახლობლათ მდებარეობს საავარავო მამული აზნაურ აბაშიძეებისა სასკლათ დურგეო. ამ „დაჩას“ კარგა ბლომა სოფლები ახვევა ირგველივ. სოფლებებმა მოაწადინეს ზირდაზირი გზის გაყვანა სოფელ ტალის ტუემდის. ეს ორი სამი წელიწადია თხოვენ აზნაურ აბაშიძეებს, გზის გაყვანას ნუ დაჯობილით, მა-გრამ ვინც დურგეის გზაზე გაავლიდა აბაშიძეები ფასს ახდგვინებ-დენ. დღეს ეი ერთობის ძალით გლეხებმა გაატარეს ურმები ზირ-დაზირ. ეს თავხედობა გლეხებისა რამოდენიმე აზნაურს არ მოე-

წინა და უზახს-რუსები ამითუიანეს გლეხთა დასაწინარებლათ, მარა ამით ვერას გახდენ. გზა მისინ გაიყვანეს გლეხებმა.

ამის წინეთ ექვს რაჭველ გლეხ-კაცს საქონელი გაუვიდათ და შინ მიდიოდნენ. გზაზე ვიღაც ბოროტ-მომქმედნი დახვედრან და ევეღანი დაუსრციათ. ამ საზიზარო საქმის მონაწილეთ ერთ აზნაურს ასახელებენ გვარათ ბაქრაძეს, რომელიც უმეც დატყეობდა. იმედი აქვთ ევეღანი იპოვონ.

შაქრო ჯავახიშვილი.

სოფ. ოფშკვითი. ექვს ავვისტოს სოფელ ოფშკვითში შემდეგი ამბავი მოხდა: ნაშუადღევის სუთ საათზე ოფშკვითის მცხოვრებნი ერთი გლეხის ეზოსთან შეაკრებდნენ. ეს გლეხი სოფელის ფიცრის ქურდთ მიანხდათ. შემხნეული გლეხი არხეინათ დადიოდა ხალხში და არც კი იცოდა თუ რისთვის აიო შეკრებილი ამდენი ხალხი. ბოლოს, როდესაც ხალხის ამოხვეულია შირმა განუცხადა ბრალდება, გლეხმა თამაში შეკედულობით და მკვარი სიტყვით მიიპატუა ხალხი ეზოში გასახივრკათ. რამდენიმე ხნის შემდეგ გლეხებმა მიიტანეს კეპი ერთ ადგილზე, დაერეს ბარი და მიწოდან ამოყარეს ექვსი ღერი ფიცარი. „გამოხდა ნაქურდალით“, გაისმა, ხალხში ხმა და ქურდს უფიქვლი ფერი გადებდა. ის ცატუდა და ხალხის რჩევით თავისი ამსახველები დაასხედა. ორი მათგანი მიუღარა და ერთი კი ცოცხალი. ხალხს ძლიერ ესამოყნა ავ-კეცების აღმოჩენა; მოქეწილი აიო მსოლოთ სოფლას მამასახლისი, რომელსაც ისიც კი წამოცდა: ქურდი მთავრობას წარუდგინოთ დატყეობილი. ამ სადამის ქურდს ახრადი ახადეს და თავისუფლება მისცეს. შორე დღეს, ნახარევი ფიცრებით დატყეობულ ურემზე ქურდი გლეხი დაესვით და აურებელი ხალხის თანდასწრებით ეკლესიაზე შევიდნენ. იქ მათ ვიდევ სამსახლე კაცი შემოიკება. გაანერეს ურეში. ამ დროს შედგა ურეში ის შირი, რომელსაც ქურდის დასახელებული ამსახვები სახში ევდა აწერილი და წარმოთქვა: „ამსახვები! ჩაყარია კეპულადე ცატუდა, თქვენც იცით, მკვარამ იგი ამსახე ამბოს, მე რომ დავიბებდე, მამის ქურდობა არ ვიცოდით. შემდეგ კი მათე კეპულადე მასწავლა და გამსახვი რისთვისაც სამართლიანია ისიც დასაჯოსო“. მოუყანილი აიო რამოდენიმე მკვლითი ქურდაბისა, რომლითაც უმცროსი ქურდი ამხელდა უფროს ქურდს; უკანსხეული დიდ უარზე იდგა, არ უნდოდა თავის თავი ამსახვეუთ ეწინა, მკვარამ, ხალხმა ერთ ხმით შესძახა: „მასწავლებელიც ურეში და მასწავლებელი“. წინ უმცროსი და უკან უფროსი ქურდები დასხდნენ ურეში და ხალხის გაუფლავთ გაემგზავრეს შორე ეკლესიისაკენ, სადაც ვიდევ მეტი ხალხი დახვდათ. ურეში ქურდებით ჩატარეს ხალხში და ფიცრების მატრონის ეზოში მიიყვანეს. ქურდებმა ხალხს ალთქა მისცეს, რომ შემდეგისათვის ამისთანა ცუდკაცობას აღარ ჩაუდენია. მოსალოდნელია, რომ გლეხებმა ფიცრული და სწორი სამართალი მალე მოსწავბს ამისთანა საქმეებს.

გიორგი ნიკოლეიშვილი.

რუსეთის ქრონიკა.

პეტერბურგის გუბერნიის ყველა ქალაქებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობასთან—გაანთავისუფლონ ისინი პოლიციის შესახებ ხარჯისაგან. (იოპ.).

ბეჭდითი საქმის მთავარმა სამმართველომ გაზეთ „სინ ოტჩენსტ.“ და „ნაშა თიზნ“-ის ცალკე ნომრებით გაყიდვა აკრძალა. (C. O.).

სარატოვის ერთ ადგილობრივ სტამბას, ყველა სავაჭრო სამრეწველო ფირმებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ამ სტამბამ

იკისრა ბეჭედა გაზ. „სარატ. ებარტ. უწყებები“-ს, რომლის ბეჭედაზე ერობის სტამბამ უარი განაცხადა. (P. B.).

28 ივლისს კომინიოვის გუბერნატორი ხარუზინი ორგევსკის მაზრაში გაემგზავრა. ამ მაზრაში აგარული მოძრაობა დაწყებულია. (H. ჰ.).

ბელოსტოკის გუბერნატორს ქალაქის თავისთვის და საბჭოს წევრებისთვის შემდეგი წინადადება მიუცია: წესიერების აღსადგენათ ქალაქში ქვის გალანებით უნდა დაყრუდეს ის ეზოები, რომლებსაც ორი მხრიდან ალყაფის კარები აქვს; პოლიციის და დარაჯების გასაძლიერებლათ, თანხა უნდა გადიდვას. (იოპ.).

გომელიდან „იუფნი კრაი“-ს ატყობინებენ: 18 ივლისს, შუადღის 12 საათზე მოგილევის ენდარმების უფროსის თანაშემწეს როტმისტრ შებენკოს ორმა უცნობმა ყმაწვილმა ეტილიდან ყუმბარა ესროლა. ყუმბარა არ გასცა, მხოლოდ იფეთქა. ყმაწვილებმა მოასწრეს მიმალვა, თუმცა მათ რევილევრები დაუშინეს. შეიპყრეს მეეტლე, რომელმაც განაცხადა, რომ ყმაწვილებს არ იცნობს. როტმისტრ შებენკოს, გომელში ხან-მოკლე სამსახურის დღს, სამი საიდუმლო სტამბა და არალეგალური ლიტერატურის რამდენიმე საწყობი აღმოუჩენია. (იპ.).

პრუტ-ზე აჯანყებულ 43 დამნაშავეთაგან სევასტოპოლის საზღვაო სასამართლომ 15 გამართლა, 4-ს დახვერტა გადაუწყვიტა, 3-ს უფადო კატორღა, დანარჩენებს სხვა და სხვა სასჯელი მიუსაჯა. (H. D.).

29 ივლისს ნიკოლაევის რკინის გზის მატარებლით პეტერბურგიდან ნიენ-ნოვგოროდში გაემგზავრა 4 ბოქაულის თანაშემწე, 3 უზნის ზედამხედველი და 50 პოლიციელი. ყველა ესენი პეტერბურგის პოლიციამ ნიენ-ნოვგოროდის გენერალ-გუბერნატორს გაუგზავნა. (იოპ.).

ამ დღეებში ჰელსინგფორში სახალხო კრება მოხდა. კრებას 20 ათასი კაცი დაესწრო. ბევრი სხვა ქალაქებიდანაც იყვნენ. (D.).

დომიტროვსკის და ბალუკის მაზრებში გლეხებმა 22 სოფლის სამმართველო გაანადგურეს და ყველა დოკუმენტები დაიხრეს. განსაკუთრებული ბოროტებით სათადარიგო ჯარის კაცების სიებს ხვედნენ. კსიდან მხოლოდ ხაზინის ფული გაიტაცეს. ობლებს ფულისთვის ხელიც არ უხლიათ. თავს დაესხნენ რამდენიმე შემამულეს, სამი მათგანი მოკლეს. ბარონ ვოლფის შუამდგომლობით ხინცენბურგში დრაგუნთა ესკადრონი გაიგზავნა. (P.).

როგორც „ყორ. უწყებები“ გადმოგვცემს—ოლესის ოლქის ჯარების უფროსს სალდათ მანილოვერის სიკვდილით დასჯა დაუმტკიცებია. (იპ.).

„რუს სლოვო“-ს სევასტოპოლიდან ატყობინებენ: „პოტიომკინ“-ზე აჯანყების გამოძიება გათავდა. საქმეს საზედრო სასამართლო ვაარჩევს. (C. O.).

როგორც „ვარშავის დღიური“ იუწყება: 9 ავისტოს, დილიდან ვარშავის ქარხნებში გაფიცვა დაიწყო. გაიფიცნ

აგრეთვე მეპურეები. 10 საათიდან მატარებლის მიმოსვლა შეწყდა. (P. B.).

ვიცე-ადმირალი ბირილევმა, რომელიც შორეულ-აღმოსავლეთის საზღვაო ძალების მთავარ-სარდლათ ითვლებოდა, ვლადივასტოკის დათვლიერების დროს რამდენიმე აფიცერი დაიხმობა, რადგან იმათი იქ ყოფნა მიუხედავად სცნო. ამ ყმათ ეს აფიცრები სამსახურიდან დათხოვნად იქნენ. (P. B.).

ნორვეგიის ავტონომია და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

(შასუხთ ბან. ივ. რამიშვილის)

მკითხველს უკველათ ესმოლება, რომ ბ-ნ ივ. რამიშვილმა ამას წინათ წერილები დასტამა „ივერიასა“ და „კნობის ფურცელში“, რომლებშიაც იგი ამტკიცებდა, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დიდი ალტაცებით მიეგება შვეციასთან კავშირის შეწყვეტას, რითაც მან დაამტკიცა თავისი სოლიდარობა ბურჟუაზიულ პარტიებთან ეროვნულ კითხვაში. ასეთი ამბავი მეტად საგულისხმოა დღეს ქართველებისთვის რადგანაც ჩვენში სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს ავტონომიის წინამდებელი არისო. ჩვენ ექვი შევიტანეთ ბ-ნ ივ. რამიშვილის სიტყვებში ნორვეგიის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის შესახებ, რომ ვითომც ეს უკანასკნელი მართლაც ალტაცებით მიეგებიყოს ნორვეგიის სტორტინგის 7 ივნისის გადაწყვეტილებას შვეციასთან კავშირის შეწყვეტის თაობაზე და ნორვეგიის ნაციონალისტებისათვის დიდი მადლობა გამოეცხადებინოს. ეს ჩვენ ჩავთვალეთ „ან რაღაც თვალთმაქცობათ, ან სრულ გაუგებობათ“, ბ-ნ ივ. რამიშვილის მხრით. ასეთი ჩვენი შეხედულება ბ-ნ რამიშვილს, რა თქმა უნდა, არ მოწონებია, და მოუწადინებია ჩვენი გამტყუნება. მაგრამ თავის საპასუხო წერილში ავტორი იმეორებს მხოლოდ იმას, რაც წინათ თქვა და ჩვენ მაერ დაყენებული კითხვებს სრულებით გაუბრძის. გამოდის, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ნამდვილათ ნაციონალისტური პარტია ყოფილა, და ეს სწორეთ ასეც უნდა ყოფილიყო, თუ მუშათა კლასი შეგნებულათ მოქმედებსო აი რა დასკვნა მოყავს ჩვენ ბრძენ ავტორს: ამიტომ საქირთ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გამოვეყამათო ბ-ნ ივ. რამიშვილს და ის, რასაც იგი განზრახ თუ უცოდინარობით ხელს აფარებს, სინათლეზე გამოვიტანათ.

რუსულ ჟურნალ „Правда“-ს ივნისის წიგნში აი ჩვენ რას ვკითხულობთ ნორვეგიაში მომხდარ ამბის გამო: „სტორტინგმა (ნორვეგიის პარლამენტი) ერთხმით, ხუთი სოციალ-დემოკრატების წინამდებ, დაადგინა ეს წინადადება მიეცეს მეფეს, რომ მან ნება დართოს ერთ-ერთ თავის შვილს ნორვეგიის გვირგვინის მიღებაზე იმ პირობით კი, რომ იგი უარს განაცხადებს შვეციის გვირგვინზეო. სოციალ-დემოკრატები კი თხოულობდენ, რომ სტორტინგმა რესპუბლიკანური მართვა გამოეგება დააფუნდნოსო. ნორვეგიის სოციალ-დემოკრატების ორგანო Social-Demokraten—ამბობდა, რომ ნორვეგიისათვის უკვე დადგა დრო თავი დაახწიოს მონარქიული წესწყობილების მძიმე უღელს, ამ საშუალო საკუნრების ნაშთს. ნორვეგიის ხალხმა უნდა ისარგებლოს ამ შემთხვევით. მან რაც ძალი და ღონე აქვს, პროტესტი უნდა განაცხადოს იმ აზრის წინამდებ, რომ განთავისუფლებულ ხალხს კიდევ ახალი მეფე დაუყენონ. დღევანდელ კრიზისს უსათუოთ

რესპუბლიკის შემოღება უნდა მოყვესო“. აქედან აშკარათ სჩანს, თუ რისთვის, რა მიზნით უერთდებოდა ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია სტორტინგის დადგენილებას შვეციასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. ვინც მართლა რაიმე წინა განზრახვით დაბრძანებული არ არის, აქედან აშკარათ დინახავს, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის სულ ერთი როდი ყოფილა თუ რა მოსზრებით გამოუცხადებდა იგი სტორტინგს თავის სოლიდარობას. ნორვეგიის სოც.-დემოკრატიულ პარტიამ მხოლოდ იმიტომ გამოუცხადა სოლიდარობა სტორტინგს ამ საქმეში, რომ ამასში იგი რესპუბლიკის დაარსების საშვალეებას ხედავდა. რაც ასე საქირთა მუშათა კლასის საბოლოო მიზნის მისაღწევათ. ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის სულ ერთი არ არის რესპუბლიკის დაწესება თუ ისევე სამეფო მთავრობის შენახვა. ბურჟუაზიული პარტიებისათვის კი ეს სულ ერთია, რადგანაც იმათი მიზანი სულ სხვაა. ბ-ნ ივ. რამიშვილმა კი ყოველივე ეს მიაფუჩეა და მარტო იმას გაუსვა ხაზი, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული პარტია დიდი ალტაცებით მიეგება შვეციასთან კავშირის გაწყვეტასო, ეს კი პირდაპირ ფაქტების დამახინჯებაა, რაშიაც ასე დახელოვნებულა ჩვენი ავტორი. მოვიყვანათ აქ კიდევ ერთი მაგალითი იმის დასახსიანთებლათ, თუ რა განწყობილება არსებობს ნორვეგიის სოციალისტებსა და ნაციონალისტებს შორის.

ამ წლის თებერვალში შვეციაში მოხდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონგრესი, რომელზედაც მიწვეული იყვენ ნორვეგიელი ამხანაგებიც. ამ კონგრესზე სხვათა შორის გაირჩა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უუტრებდეს შვეციის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ნორვეგიასთან მოსალოდნელ კავშირის შესყვეტას. ამ კავშირის გაწყვეტა იქ ერთხმით გადაწყდა და კამათი გამოიწვია მხოლოდ იმ გარემოებამ, თუ ამის შესახებ როგორ უნდა იქნას შედგენილი ადრესი ნორვეგიის ხალხის მიმართ, ვინაიდან მეტათ საქირთ იყო, რომ ნორვეგიის ნაციონალისტებს იმ ადრესში არაფერი არ ეპოვნათ ისეთი, რასაც ნება მიეცათ იმათთვის სოციალისტური პარტია თავის მოკავშირეთ გამოეყვანათ, თუნდ ეს კავშირი მოკლე ვადიანიც ყოფილიყო“ (გვ. 249). სულ ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ მან ვერ დაინახოს, თუ როგორ დაშორებული არიან ერთი-ერთმანერთისაგან სოციალ-დემოკრატები და ნაციონალისტები. სოციალ-დემოკრატებისთვის სათაკილოა, რომ ვინმემ ისინი ბურჟუა-ნაციონალისტების პარტიების მოკავშირეთ გამოაცხადოს, თუნდა დროებითაც. ახლა ჩვენ გავიგეთ, თუ რა სიყალბე ჩაიდინა ბ-ნ ივ. რამიშვილმა და როგორ დაამახინჯა ფაქტი ჩვენი ნაციონალისტ-ფედერალისტ-ავტონომიტეტების გასახარებლათ. მაგრამ ბ-ნ ივ. რამიშვილმა არა მარტო ამით ისახელა თავი; იგი გარდა ამისა საკვირველ ორპირობას და თაღლითობას იჩენს. აი საქმე რაშია.

ვინც ბ-ნ ივ. რამიშვილის წერილებს წაიკითხავს. მას პირველი შეხედვით ეგონება, რომ ჩვენი ავტორი მუშა ხალხის მომხრეა, რომ იგი თითქო პარტიისკენით უუტრებს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. მაგრამ ეს მხოლოდ პირველ შეხედვით; თუ ცოტა უფრო დაკვირვებით წაიკითხავთ ჩვენი ავტორის წერილებს, მაშინ თქვენ დარწმუნდებით, თუ როგორი ზიზლით და დაცინვით ექცევა იგი მუშა ხალხს და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას. მას მაგალითათ, სიცილათაც არ ყოფნის იმ გარემოება, რომ ჩვენი ასრით დღევანდელ პირობებში შეგნებული მუშა უთუოთ სოციალ-დემოკრატების მიმართ.

მოკრატული პარტიის წევრი უნდა იყოს. ასეთი შეხედულება არ მოეწონება, რა თქმა უნდა იმ კაცს, რომელიც უარყოფს კლასთა ბრძოლას. აი რას ამბობს ბ. ნი ივ. რამიშვილი ამის შესახებ „ნორვეგიის ცოცხალი მაგალითი“ (თუ რა მაგალითია ეს, ჩვენ უკვე ვიცით) ცხადყოფს კლასთა ბრძოლის სფეროს უკიდურესობას. გაუნათლებლობასთან და ისტორიულ ფაქტების უკონკრეტოობასთან ერთად საქიროთა თავისებური გონებრივი სიფიწროვე, რომ ვინმე დარწმუნდეს, ვითომ კაცობრიობის ისტორია მხოლოდ კლასთა ბრძოლის გარშემო ტრიალებდეს“-ო... აი რა ღრბა ფილოსოფოსი აღმოჩენია ჩვენ სამშობლოს! ისინი, ვინც აქამდის კლასთა ბრძოლას აღიარებდნენ, ყველა გაუნათლებელი და უვიცნი ყოფილან! თურმე „თავისებური გონებრივი სიფიწროვეთ“ აიხსნება ის გარემოება, რომ მარქსმა და ენგელსმა მიიღეს და შეიმუშავეს ეს თეორია. ეტყობა ჩვენი ავტორის ტვინის კოლოფი მტკაო ფაროა უნდა იყოს, რომ იგი ასეთ დიად აზრს იტყვის.

ბ. ნი ივ. რამიშვილს, რასაკვირველია, არც მატერიალისტური შეხედულება წაას ისტორიაზე. აი როგორ მსჯელობს ჩვენი „ფილოსოფოსი“: „ჩვენს მუკამათეს (ე. ი. ჩვენ), რომელსაც ეკონომიური ფაქტორის მე-ი არა სწამს რა, ძლიერ გაუკვირდება, როდესაც გაიგებს, რომ ნორვეგიელი დაქინებით თხოულობდნენ, რომ საერთო მეფეს ნორვეგიაში ოფიციალურად იხსენიებდნენ ნორვეგია-შვეციის მეფეთ, და არა შვეცია-ნორვეგიისა, რადგორც ეს უნის დროს იყო. აი რა წვრილმან რასმეს შეუძლია ააღვლეოს ეროვნული გრძნობა! ეკონომიური ფაქტორის ძლიერებით დაბრმავებულნი ამ ფაქტს რა თქმა უნდა ვერ გაიგებენ“-ო, ღიღი რიხით გვეუბნება ჩვენი „მეცნიერი“ (იხ. „ივერია“ № 141). მისი აზრით ეროვნული გრძნობა ისეთი „ნაზა“ რამ არის, რომ როგორც შეიძლება იმის ასახსნელად მატერიალური ფაქტორით ვიხსენებდნენ. აი ეს ხომ ამ გრძნობის შეურაცხყოფა იქნებოდა! მაგრამ ერთი ეკითხოთ ჩვენ ბრძენ „ფილოსოფოსს“: რითი ხსნის იგი თუნდაც ამ „წვრილმან“ გარემოებას, რომ ნორვეგიელები დაქინებით თხოულობდნენ, რომ საერთო მეფეს ნორვეგიაში ოფიციალურად იხსენიებდნენ ნორვეგია-შვეციის მეფეთ და არა შვეცია-ნორვეგიისა. ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულების მიმდევარი კი ადვილად ხსნიან არა თუ ასეთ წვრილმან ფაქტს, არამედ უფრო რთულს საზოგადოებრივ მოვლენებს. მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საქირო. წინა წერილშია ვამბობდი, რომ ნორვეგიაში მომხდარი რევოლუციის მიზეზი თვით ნორვეგიის ხალხის ცხოვრების ნივთიერ პირობებში უნდა ვეძიოთ-თქო. ბ. ნი რამიშვილმა, რასაკვირველია უყურადღებოდ დატოვა ჩვენი შენიშვნა; ამიტომ ჩვენ იძულებული ვხდებით კიდევ უფრო გაუსვათ ხაზი ამ აზრს. როგორც ვიცით, ნორვეგია ბევრად უფრო განვითარებულია მრეწველობის და აღმშენებლობის ზრით შვეციასთან შედარებით. ამიტომ ნორვეგია უფრო დემოკრატიული ქვეყანაა, ვინც შვეცია, სადაც თავდაზნაურებს ჯერ კიდევ ღიღი გაუღწია აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამიტომ შვეციასა და ნორვეგიას შორის ყოველთვის დიდი უთანხმოება იყო, მით უმეტეს რომ დემოკრატიული ნორვეგია იძულებული იყო საქირო საქმეებში დამორჩილებოდა შვეციის გავლენას, რადგანაც მთავრობა უფრო შვეციის მინისტრების ხელში იყო. ამიტომ 1891 წლიდან დაწყებული ნორვეგია ცდილობს დამოუკიდებლად განავსოს თავის საქმეები; მან გადაწყვიტა, მოეზობა უფლებებს, რომ მას თითონ დაენიშნა საზღვარ გარეთ საკუთარი ელჩები, თავისი სააღმსრებლო ინტერესების დაცვით. ამ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება თან და თან მწვავედებოდა და ბოლოს საქმე კავშირის გაწყვეტით გათავდა (იხ.

ამის შესახებ „Истина“ ივნისი გვ. 245). რას იტყვის ამის შესახებ ჩვენი ავტორი ბ. ნი რამიშვილი უფრო კარგს იზამდა თავისუფალი დრო ფაქტების შესწავლისთვის მოეხმარებოდა, და ქირების გაფრთხილების და ფაქტების დამახინჯებისთვის თავი დაქნებებოდა. მაშინ მისი ნაწერი სასარგებლო იქნებოდა მკითხველებისათვის. სამწუხაროა რომ ასეთ უკუღმართ და ყალბ გზას ადგება ახალგაზრდა კაცი კიდევ უფრო სამწუხაროა და საპირისპიროა, როცა ამას ხელს უწყობს და უწყობებს ჟურნალ-გაზეთობა. ბ. ნი ივ. რამიშვილი ძლიერ ადრე შემდგარა ყალბ გზაზე; ვეჭვობთ, რომ მან ოდესმე შესძლოს იქიდან ამოსვლა და თავის დახწევა. მე არ მივირის, რომ ისინი, ვინც იქ კაი ხანია შემდგარი არიან, კვირით და ერთი ამბით ეგებებიან მას. მაგრამ ვაი ამისთანა მიგებებს.

ჩვენ აქ გვინდოდა, თვით ავტორი ამის შესახებ გვეთქვა ორიოდ სიტყვა, ავეგხნა მკითხველისთვის ის, თუ რა განსხვავებაა ნორვეგიის ავტონომიისა და იმ ავტონომიის შორის, რომელსაც ჩვენი ნაციონალისტ-ფედერალისტები თხოულობდნენ, მაგრამ ეს სხვა დროსთვის გადავდეთ.

ფ. მახარაძე.

ზ რ ი ღ რ ი ს მ ე ზ ე ლ ს ი.

ამ წლის ნ. ა. ვისტოს აბი წილიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ფრიდრიხ ენგელსი. ამ ეამათ იშვიათია ისეთი ცოტათ თუ ბევრათ შეკვნიებული მუშა, რომელსაც არ გაეგონოს ამ გამოჩენილი კაცის სახელი. მარქსი და ენგელსი! ამ ორი ადამიანის სახელი მჭიდროდ არის ერთმანერთთან შეკავშირებული; სიტყვებით სულიერად და გონებრივად თანშეზრდილი, იგივე სიკვდილს შემდეგაც ერთად და განუყოფელად იხსენიებან. გენიოსი მარქსი ბევრათ უფრო მაღლა იდგა ბუნების მიერ უზვით დაჯილდოვებულ ენგელსზე, მარა პირველის სიდიადე ოდნავაც არ აპყირებს მორის მნიშვნელობას. ერთ კერძო წერილში ენგელსი სწერს თავის ძველს და ერთგულ ამბანაგს: „მთელს ჩემ სიტყვებში მე მკორე სკრიპკას ვუკრავდი და, როგორც ვეჭვობ, ამ მხრით შეუდარებლად დავხელოვნდით. განუახლებელ კმაყოფილებას ვგრძნობდი, რადგან პირველი სკრიპკა მარქსი იყო. ახლა კი, როცა მე, როგორც თეორიის წარამადგენელმა, პირველი სკრიპკა უნდა ავიღო ხელში, განსაკუთრებით უნდა ვეცადო, რომ არ შევრცხვებ“. ეს სიტყვებთ შევნიერება ახასიათებს ენგელსის და მარქსის ურთიერთ შორის განწყობილებას. თუ მარქსს პირველ სკრიპკას შეუდარებთ, შეუცდამლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სკრიპკის ციურს და წარტაც ხმებს ვერავინ ვერ შეეწყობოდა და დაამშვენებდა ისე, როგორც მკორე სკრიპკა-ენგელსი. მარქსმა და ენგელსმა ერთად შექმნეს შეურყვევლი თეორია მეცნიერული სოციალიზმისა. მას შემდეგ, რაც მათ ერთმანერთი გაიცნეს, მჭიდრო სულიერი კავშირი მათ შორის ერთ წუთსაც არ შეწყვეტილა და არ შეწყუტულა. საერთო მუშაობაში ეს ორი გამოჩენილი ადამიანი შრომის განაწილების პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: მარქსმა-მარტო შეიმუშავა ენგელსთან ერთად შექმნილი თეორია და თავისი შევნიერ თხზულებათა საშვლებით ქვეყანას ამცნო ახალი მოძღვრება. ენგელსი კი ფიზიკლ დარჯათ უდგა ამ მოძღვრებას, დაუღალავათ იცავდა მას და თავგანწირულად ებრძოდა სალიტერატურო ბრძოლის ასპარეზზე მის ღირსეულ მოწინააღმდეგეებს. ამიჯომ მის თხზულებებთ პოლემიკური, საკამათო წერილების ხასიათი აქვს. სწორეთ ასეთი შრომის განაწილებით აიხსნება ისიც, რომ მარქსმა თითქმის მთე-

ლი თავისი მეცნიერული შრომა ერთ წიგნში—კაპიტალში მოათავსა, ენგელსის გამოკვლევითა შედეგები კი მრავალ პატარა-პატარა წერილებშია გაბნეული...

ფრიდრიხ ენგელსი დაიბადა რეინის პროვინციაში, ქალაქ ბრემენში 1820 წელს; მამა მისი შეძლებული ფაბრიკანტი იყო. რეინის პროვინციამ, რომელიც გერმანიის ყველა კუთხეზე წინ იდგა მრეწველობის და პოლიტიკური განვითარების მხრით, დიდი ვაღენა იქონია ენგელსზე. აქ, ენგელსის სამშობლოში, გერმანიის სხვა ნაწილებზე აღრე ირინა თავი კაპიტალისტურმა წარმოებამ და ახალგაზრდა, რევოლუციურმა ბურჟუაზიამ, რომელიც სწრაფათ შეუდგა ძველ ფეოდალურ ურთიერთობათა განადგურებას. მეორე მხრით, განვითარებულმა მრეწველობამ აქვე წარმოშვა მრავალ-რიცხოვანი პროლეტარიატი, რომელმაც ძალიან მალე შეიგნო თავისი კლასობრივი ინტერესები. ასეთი იყო ენგელსის სამშობლო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში.—მავე დროს გერმანიაში ყველა ფილოსოფია, საუკეთესო წარმომადგენელს გერმანული ფილოსოფიისა, ჰეგელს დიდი ვაღენა ქონდა. ახალგაზრდა ენგელსზე, ის გულმოდგინეთ შეუდგა ფილოსოფიის შესწავლას. უნივერსიტეტის კურსის დამთავრებას აღარ დაუცადა ენგელსმა და 1842 წელს გაემგზავრა ინგლისში; ინგლისის განვითარებულმა კაპიტალიზმმა თვლები აუხილა ენგელსს და პირველათ აქ ჩაესახა მას ის დიდი აზრები, რომელთაც შემდეგ სახელი გაუთქვეს. პროლეტარიატის მდგომარეობამ და ტანჯვამ ძალიან დააინტერესა ახალგაზრდა ენგელსი და მისი გონება პროლეტარიატის მომავალზე ფიქრმა და აზროვნებამ. შეიპყრო. ინგლისში ენგელსმა ორი წელიწადი დაჰყო და შემდეგ ისევ გერმანიაში გამოემგზავრა. გზაში მან ინახულა მარქსი, რომელიც მაშინ ბარისში ცხოვრობდა. ამ დროს (1844 წ.) დაუმეგობრდნენ ერთმანეთის მარქსი და ენგელსი. მათი აზრები ისეთ ნაირათ შეეთანხმნენ და შეეწყვენ ერთი-მეორისას, რომ მათ ერთათ წიგნიც შეადგინეს. ამ წიგნიდან ნათლათ ჩანს, რომ მარქსმა და ენგელსმა სამუდამოთ გაწყვიტეს კაცობრი ჰეგელის ახალ შკოლასთან. საზოგადოთ მთელ გერმანულ ფილოსოფიის და კერძოთ ჰეგელისას, იდეალისტური ხასიათი ქონდა. ჰეგელის აზრით ყოველივე ნივთი იდეას ექვემდებარება და იდეა არ წარმოადგენს სინამდვილეში არსებულ ურთიერთობის გამოხატულებას; იდეა და მოუკიდებელათ არსებობს და მისი განვითარება არის მიზეზი ნივთის განვითარებისა. ასეთ იდეალი. სტურ შეხედულებას წინ აღუდგენ მარქსი და ენგელსი. მათ თვით ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის საშვალეებით დაარღვიეს ჰეგელის ფილოსოფიის ზენდაშენი; გერმანული ფილოსოფიის იდეალიზმს მათ წინ დაუყენეს თავისი მატერიალიზმი. ამ წიგნს, რომელშიაც პირველათ გამოაქვეყნეს მარქსმა და ენგელსმა თავისი დიალექტიკური მატერიალიზმი სახელათ ქვია: „შმინდა ოჯახი, ანუ კრიტიკა, კრიტიკული კრიტიკისა. ბრუნო ბაუერის და კომპ. წინააღმდეგ“.

თუ როგორ სწრაფათ განვითარდა ენგელსის გონებრივი ძალა, იქიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ ის ჯერ 24 წლის იყო, როდესაც პირველათ გამოთქვა მეცნიერული სოციალიზმის პრინციპები თავი თხზულებაში. ამ თხზულებას ქვია: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“. ეს წიგნი საკუთრათ ენგელსისაა და მარქსს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მის შედგენაში.

შემდეგ მარქსი და ენგელსი ბრიუსელში შეხედნენ ერთმანერთს. ამ სწორეთ აქ ააშენეს მათ თავიანთი მოძღვრების თეორიული საფუძველი. მათ გააქარწყლეს წვრილი ბურჟუაზიის და მუშების აზრი, რომელიც ფიქრობდნენ, რომ დაე-

მხობოდა თუ არა რეაქციონური მთავრობა, ქვეყნათ მაშინვე სამოთხე გამეფდებოდა და არ ესმოდათ, რომ სწორეთ ასეთი მთავრობის დამხობა მოასწავებდა აშკარა კლასობრივი ბრძოლის დასაწყისს, რომელსაც უნდა გაეკავა გზა მომავალი სოციალიზმისაკენ. მარქსმა და ენგელსმა დაიწყეს პრაქტიკულათ მუშაობა, რომლის შედეგი იყო „კომუნისტური კავშირის“ დაარსება. ამ კავშირის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდებოდა და მას მალე „საერთო-შორისო კავშირი“ ეწოდა სახელათ.

1847 წ. მოხდა პირველი კონგრესი კავშირისა, დაერქვა ახალი სახელი—„კომუნისტების კავშირი“ და სრულიად შეიცვალა მისი ორგანიზაცია. ამ კონგრესზე მარქსი ამ ყოფილა. იმავე წელს შედგა მეორე კონგრესი. აქ მარქსიც იღებდა მონაწილეობას. მარქსს და ენგელსს მანდო კავშირმა მანიფესტის შემუშავება.

მეგობრები პარიზში გაემგზავრენ, შენდგეს ისევ გერმანიაში დაბრუნდნენ და ქალაქ კელნში გამოსცეს „რეინის ახალი გაზეთი“.

1848 წლის რევოლუციის სულის ჩამდგმელათ წვრილი ბურჟუაზია ითვლებოდა და ამ რევოლუციის დამარცხება წვრილი ბურჟუაზიის დამარცხებას მოასწავებდა. იმ დროს კლასთა ინტერესების წინააღმდეგობას ვერ ხედავდა მუშახალხი და ირგვლივ კლასთა სოლიდარობის ქადაგება გაისმოდა. მუშათა კლასი იმ დროს ძალიან სუსტი და შეუზნებელი იყო და არ შეეძლო პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევა, ბურჟუაზია კი სრული შეგნებით მოქმედობდა რევოლუციის დროს. 1848 წლის რევოლუციამ ნათლათ დაანახვა პროლეტარიატს მისი მტერი და მოყვარე, მოლაღატე და ცბიერი წვრილი ბურჟუაზია დაგმო მუშათა კლასმა და უცებ შეიგნო კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა. როგორც ზევით ვთქვით, ამ რევოლუციამ დაამარცხა წვრილი ბურჟუაზია, რომელსაც სამუდამოთ დაეკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა და ნღობა.

ყველა ეს, რასაკვირველია, ცხადია ჩვენთვის, მარა მაშინ „რეინის ახალი გაზეთი“ და მისი ხელმძღვანელები—ერთათ ერთი იყვენ, რომელთაც ნათლათ ესმოდათ საქმის ნამდვილი მდგომარეობა. „რეინის ახალი გაზეთი“ ცდილობდა დაერღვია და გაეჭრო ილუზიები, რომელიც მასაში გავრცელებულიყო. ეს გაზეთი და მისი ხელმძღვანელები არ ინდობდნენ წვრილ ბურჟუაზიას და სასტავათ დასცინოდნენ მის ბანაკიდან წამონასროლ მალდ ფარლოვან ფრაზებს...

1849 წ., 19 მარტს მთავრობამ დახურა „რეინის ახალი გაზეთი“ და განდგენა მარქსი გერმანიიდან. ენგელსსაც დაეძებდა მთავრობა და ისიც იძულებული შეიქნა სადმე გადახვეწილიყო.

1849 წ., 11 ივლისს ენგელსი შვეიცარიაში გადავიდა. აქ მან ვერ პოვა შესაფერი ნიდაგი მუშაობისთვის და გაემგზავრა ლონდონში, სადაც ამ დროს მარქსიც იმყოფებოდა. ლონდონი მაშინ რევოლუციონერთა ბედეს წარმოადგენდა; იქ თავი მოეყარა 1848 წლის თითქმის ყველა გამოჩენილ გმირებს და კომუნისტური კავშირის ხელმძღვანელებს. გადაწყდა ახალი ორგანიზაციის დაარსება. ყველას საქმე სწყუროდა და აქტიურ მოქმედებისაკენ მიისწრაფოდა. მარა, როგორი განსხვავება იყო მარქს-ენგელსსა და დემოკრატ-ემიგრანტთა შორის! ეს უკანასკნელნი ბავშური სიცოტოთ უცქეროდნენ საქმეს, მიუხედავთ მწარე გამოცდილებისა ხელახლა ილიუზიებმა და სრუ აზრებმა გაიტაცა იგინი. მარქსი და ენგელსი კი წინდახედულათ, დინჯათ და დაუღალავათ შეუდგნენ სა-

ქმეს; ცდილობდნენ კომუნისტთა კავშირის გაძლიერებას და კრიტიკით და პროპაგანდით ხელს უწყობდნენ გერმანიაში მოძრაობის განვითარებას.

1850 წ. ქალაქ ჰამბურგში მარქსის და ენგელსის ხელმძღვანელობით გამოიცა ყოველთვიური ჟურნალი, რომელსაც დაერქვა ძველი სახელი: „რეინის ახალი გაზეთი“. ამ ჟურნალში ენგელსმა მოაუთხრა სხვათა შორის წერილები გერმანელ გლეხთა ომის შესახებ. ამ შრომაში ავტორმა მატერიალისტური თეორიის მიხედვით ახსნა კაპიტალიზტური წარმოების დაწყებამდე ყოველი ურთიერთობა.

1850 წ. შეწყდა პოლიტიკური მუშაობა. მარქსს და ენგელსს აღარ შეეძლოთ ლიტერატურული მოღვაწეობა გაგრძობა გერმანიაში, რადგან მათ ყველა სდევნიდა და არც ერთი გამოემკმევი არ აძლევდა ადგილს მათ წერილებს. მარქსი ბრიტანიის მუხუმეში დაბრუნდა და დაიწყო თავისი „კაპიტალიზმ“ წერა, ენგელსი კი ისევ ინგლისში, მანჩესტერში გაემგზავრა...

თითქმის ოცი წლით დაშორდნენ ერთმანეთს მარქსი და ენგელსი, მარა სულიერი კავშირი მათ შორის ერთ წუთსაც არ შეწყვეტილა. თითქმის ყოველდღიური მიწერ-მოწერა ქონდათ მათ ერთმანეთთან ამ დროს განმავლობაში. ამ მიწერ-მოწერამ აღმდგინა მოაღწია და ძვირფას მასალას იძლევა 1850 წ.—1870 წ. ხანის დასაფასებლათ.

1870 წელს ენგელსი ლონდონში დაბინავდა. ლონდონში ის გულმოდგინეთ შეუდგა მუშაობას და ეს დრო განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მის ცხოვრებაში. მან დასწერა მრავალი პოლემიკური და დროს შესაფერი წერილები, რომლის უმეტესობა ახლა წიგნებათ იყიდება. თუმცა თვითონ უფრო მისი წერილი რაიმე მომეტით იყო გამოწვეული, მარა ეს ისეთი ნაწარგებია, რომელთაც ინტერესი არ ეკარგება, მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოწვევი გარემოებები დიდი ხანია გაქრა. ზოგი მათგანი განსაკუთრებით საყურადღებოა დღეს, რადგან ნათლათ ახასიათებს ისეთ ისტორიულ მდგომარეობას, რომლის მსგავსი ჩვენ თვალწინ დგას ამ ეპოქაში. ამ ნაყოფიერი დროს ეკუთვნის აგრეთვე ერთი საუკეთესო თხზულებათაგანი ენგელსისა — „ანტი-დიურინგი“. ამ წიგნის შინაარსი მეტათ საყურადღებოა, რადგან აქ ენგელსი არჩევს თანამედროვე მეცნიერების ყველა მნიშვნელოვან საკითხებს მატერიალისტური დიალექტიკის თვალთა ხედვით. (Ир. Кр.)

(დასასრული აქნება).

თ ა ნ ბ ე ე დ რ ო ზ ე მ კ ი თ ხ ე მ ე ბ ი.

გ. ბრაქსი.
(თარგმანი *)

უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავითვალისწინოთ ორი შემეცნება: სახელდობრ რა არის **კომუნისმი** და რა არის **საკუთრება?** ჯერ გავაკეთოთ ერთი შენიშვნა. ხშირათ გაცხარებით იბრძვიან ხოლმე მოპირდაპირები იმ შემთხვევაში, როცა მათ ერთი და იგივე შემეცნება სულ სხვა და სხვანაირათ აქვთ განსაზღვრული, სულ სხვა და სხვა ნაირათ ესმით. კითხვა შეეხება, მაგალითათ შემდეგს: სამართლიანია თუ უსამართლო ცნობილი შეხედულება ამა, თუ იმ საგანზე; მოპირდაპირები მაშინაც კი გაცხარებით იბრძვიან, როცა ეს საკითხი სრულიათ არ აინტერესებთ. ამ გვარა მსჯელობა ხშირათ ხდება ხოლმე. მას ხშირათ დიდ მნიშვნელობასაც აძლევენ საქმარისია გავიხსენოთ დრო „ხატების მღვეართა“, „ანაბა-

*) იხილეთ „მოგზ.“ № 30.

პტისტებისა“ და „იოანე ლიდენეოლის“ სექტის მიმდევართა. იგივე ხდება ახლაც, განსაკუთრებით „კომუნისმის“ შესახებ. უსაქმო ხალხმა, რომელიც მუდამ სიმდიდრის შექმნაშია, კომუნისმის შესახებ იმდენი სიცრუე გაავრცელა, რომ ხალხის უმრავლესობა ისე ვერ წარმოადგენს კომუნისტს, თუ მარ უსაზიზღრეს და ცემულ არსებათ. ამის გამო ადგილი არ არის კომუნისმზე მსჯელობა, რადგან წინდაწინვე იცით უმეტესობის მსჯავრი. როდესაც კითხვა კომუნისტს შეეხება, არავის არაფერი აღარ ესმის, არავინ არაფერს არა ხედავს და არაფერზე არ ფიქრობს, მხოლოთ გაიძახას: „წყველომც იყოს იგი!“ ა. გამოჩენილ ფერდინანდ ლასალს ერთხელ ვილაცამ მიძახა: „შე სოციალისტო!“ (სოციალისტი და კომუნისტი არსებითად ერთი და იგივეა.) ამ სიტყვას უნდა მოესპო ლასალი საბოლოოთ; მართლაც მან გამოიწვია ყოველგვარი საზოგადოებრივი ცრუმორწმუნეობა სოციალისტური მისწრაფების საწინააღმდეგოთ და ამ გვარი ცრუმორწმუნეობა კი უძლიერესია თვით სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნეობაზედაც. ამიტომ არაფერი ასე ძნელი არ არის, როგორც ამ კითხვის შესახებ შეთანხმება.

მკითხველი, რომელიც აქამდე თვალყურს მადევნებდა, რასაკვირველია, არ დაწყებს ყვირილს: წყველომც იყოს, წყველომც იყოს იგიო! ის ეცდება დამშვიდებით მოძებნოს ქეშმარიტი პასუხი კითხვაზე: „რა არის კომუნისმი?“

თუ თვალზე გახილული დავაკვირდებით ჩვენ გარშემო არსებულ ქვეყანას, შევამჩნევთ მრავალ საკეთილო და სასარგებლო დაწესებულებას, რომელიც დაარსებულია ან ბევრი პირისგან და ან საზოგადოების ყველა წევრებისაგან. აგერ აღამიანები აღგენენ საზოგადოებას, თუნდ დღესუფილი გემიდან აღამიანების გადასარჩენათ; აგერ საზოგადოება არსებს შკოლას; აგერ სახელმწიფო აკეთებს გზა-ტყეკილს და სხვა და სხვა. კერძო, ყოველდღიურ ცხოვრებაში თვითონ თვის საკუთარ თავზე ფიქრობს, მაგრამ ხემათ დასახელებულ შემთხვევებში კი აღამიანები ეროდებთან საერთო მიზნის მისაღწევით. გამოცდილებამ დიდი ხანია დამტკიცა, რომ თვითონ თვითონ წევრი არა ჩვეულებრივ სარგებლობას იღებს ამ შეერთებისაგან. ყველა, ვისაც კი ცოტა გონება შერჩენია, იტყვის, რომ ამ გვარი სასარგებლო საზოგადო დაწესებულება ძალიან უწყობს ხელს მის საკუთარ კეთილდღეობას. რა უნდა ექნა ხალხს რომ არ ქონოდა საერთო ძალით გაკეთებული გზები, ან საერთო ხარჯით დაარსებული შკოლები (რა გინდ უფარგისები იყვნენ ეს უკანასკნელები)? რა შეწყუხებას ვიგარძობდით უცებ რომ მოსპობილიყო ყველა დამშვიდვე საზოგადოება, რომელსაც მიზნათ ის აქვს, რომ ერთი პირის ზარალი გაანაწილოს მრავალ პირისაგან. მე შემეძლო ათასობით დამესახელებინა ამ გვარი დაწესებულებები, მაგრამ დასახელებულიც საკმარისია. ყველა ეს დაწესებულებანი შეადგენენ **სოციალისმის ნაწილს** და ეს იმითომ რომ სოციალიზმი არის არც მეტი და არც ნაკლები, მხოლოთ ინტერესებისგან საზოგადოებრივების პრინციპი! ყოველდღიურ ცხოვრებაში თვითონ ეძებს თავის საკუთარ სარგებლობას, თუ გინდ ეს საგებლობა სხვისთვის საზარალოც იყოს. აქ არის გამოყვებული შიშველი, ცივი საზიზღარი ეგოიზმი. დიდმა საქსოვმა ქარხნებმა მიიყვანა ათათასობით ხელით მქსოველი მუშა უკიდურეს სიღატაკედე, მაგრამ ვის ან როდის ქონია ამის ჯავრი? ვის უფიქრია იმაზე, რომ ერთი დიდი ქარხანა ჰქმნის ათას ჯანსაღ ბუნდიერ მშრომელს უსახლკარო მათხოვართ? ვინ დაინტერესებულა, მაგალითათ მით, რომ ფესსაცმლის უზარმაზარი ქარხნები უსაძებენ არსებობის საშვალებას მრავალ მუწიდებს?

განა მეგვანზე კითხულობს, რა მოუვა მისი გაუმადლობის მსხვერპლს? განა აქციონერი, რომელმაც საზოგადოება დაა- არსა, ფიქრობს იმაზე, თუ რა დამართება აქციების პატრო- ნებს მაშინ, როცა ისინი კარგავენ თავის ოფლით შექმნილ ქონებას?

არაფინ და არასოდეს არ აძლევს თავის თავს ამგვარ კი- თხეებს; მე დარწმუნებული ვარ, რომ ვინმე იფიქროს ამაზე, რომ ვინმემ იზრუნოს თავის მოყვასზე, მას მასხარათ აიღებენ.

ვეგოზში მფლობელობას ყველაფერში. ყველა მისწრაფვის თავის საკუთარი კეთილდღეობისაკენ და სრულიათ არ არ კითხულობს მას, რომ სხვის კეთილდღეობას ძირს უთხრის!

„მე რა საქმე მაქვს სხვასთან, ოღონდ მე ვიყო კარგათ!“

მაგრამ მიუხედავად ვეგოზში გაბატონებისა, ინტერესების განსაზოგადოებრივება შეუჩერებელ ძალით იჩენს თავს.

სულ უფრო ხშირათ და ხშირათ ერთდებიან ადამიანები საერთო საქმისათვის; ერთ კავშირს მეორე მოსდევს თან; თან-და-თან ძლიერდება სახელმწიფოს და საზოგადოების მო- ქმედება. ვის შეეძლო წინათ წარმოედგინა ამდენი სხვა და სხვა საზოგადოების დაარსება? ვინ იწინასწარმეტყველებდა, რომ ყველა ქვეყნები შეერთდებიან რკინის გზებით; ვაკეთდებოდა ტელეგრაფი, რომელიც წარმოუდგენელი სიჩქარით- ფენს ჩვენ აზრებს მთელი დედამიწის ზურგზე? ვინ წარმოიდგენდა ახლანდელ საუცხოო ფორტს? ვინ იფიქრებდა ვახით განათებაზე და წყლის საყვანის გაკეთებაზე? ვის ქონდა წარმოდგენილი ახლანდელი წყობილება ცეცხლის მქრო ბელი ზაზმებისა? ყველა ესენი კა სოციალიზმის ნაწილს შეადგენს! ერთი სიტყვით, ინტერესების განსაზოგადოებრივება თან და თან იკაფავს გზას ცხოვრებაში, მიუხედავად შეუ- ბრალეველი ვეგოისტური ბრძოლისა. საერთო ინტერესების სარგებლობა თან და თან გზას იწალდავს ცხოვრებაში და ეს გარემოება ასხევეებს ჩვენ დროს წარსული დროისაგან. რაც უნდა სწყევლონ ზოგიერთებმა სოციალიზმი, თვითონაც ამ სოციალიზმისაკენ მიეშურებიან: ყოველივე დარგში თავს იჩენს ინტერესების განსაზოგადოებრივება; საზოგადო და მასხარათ აღებული სოციალიზმი, ამაყით თავ-აღებულნი ასრულებს თავის ძლევას მოსილ მიმდინარეობას და თან ეხება ადამიანთა შორის არსებულ ყოველგვარ დამოკიდებულებას. ის, ვინც თავის თავს სოციალიზმის მტრათ აცხადებს, ვინც ინტერესე- ბის განსაზოგადოებრივების მტრათ სახავს თავს, უთუოთ კა- კობრიობის მტერიც არის! ვისაც უნდა მოსპოს სოციალიზმი, იმან ჯერ უნდა მოსპოს გზა-ატეცილები, რკინის გზები, შკოლე- ბი, ეკლესიები, საზოგადო ბაღები; მოსპოს საზოგადო აბა- ნოები, თეატრები, წყლის საყვანები, სარწყავი არხები, ყვე- ლა საზოგადო შენობები, ყველა საავადმყოფოები და ყველა თავ- შესაფარები; მოსპოს ფორტა და ტელეგრაფი!... ყველა ეს დაძმებულელები ხომ ფარულათ შეიცავენ სოციალისტურ ტენდენციას! *).

სოციალიზმის მოსპობა არ შეიძლება. ის ისეთსავე კუ- თვნილებას შეადგენს ადამიანის ბუნებისას, როგორც ვეგო- ზმი. **).

ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ჩვენ რამდენათმე ეხლაც კომუნისში ვცხოვრობთ და გაჩქარებით მივეშურებით მისი წავისადგურისაკენ. ხალხის უმრავლესობისთვის დადგება

* მიუხედავად თავისი საზოგადოებრივი ხასიათისა, ზოგიერთი დაწესებულება ღირსია განადგურებისა. **ბესელკოლი.**
** მარქსის აზრით საზოგადოებრივი სოლიდარობა დამოკიდებულია არა ადამიანის ბუნებაზე, არამედ საწარმოო ძალეებით. **ბესელკოლი.**

ისეთი ბედნიერი დრო, როდესაც ადამიანთა შორის დამოკი- დებულებაში უმთავრეს ფაქტორათ გადაიქცევა საერთო ინტერესი, ყველას ინტერესი. მაშინ ვეგოზში შეიზღუდება საყოველთაო კეთილ-დღეობით. თუ მდიდარი პურის ვაჭარი იჯარით იღებს რამდენიმე რკინის გზას მხოლოდ იმისთვის, რომ ცარიელი ვაგონები ატაროს იქით აქეთ და პურის მარ- ცვლიც აო მიიტანოს იქ, სადაც ყველაზე უფრო საჭიროე- ბენ პურში; თუ ასეთ ადგილებში მცხოვრები ხალხი იძულებ- ბული ხდება აძლიოს პურში უშველებელი ფასი, ან შიმში- ლით მოკვდეს; თუ ეს ვაჭარი სარგებლობს საერთო ვაჭარ- ვეობით თავის სიმდიდრის გასაძიდებლათ; თუ ხშირათ ამჯო- ბინებს მსხვილი მწარმოებელი დაღუპს მისი სანონელი, ვიდრე დაკლებულ ფასში გაყავდეს, ყოველივე ეს ეხლანდელ დროში ჩვეულებრივ, კანონიერ წესათ ითვლება! ყველასათვის ცხადი უნდა იყოს; რომ ამგვარი წესი, ამგვარი ვეგოზში საზარალა საზოგადოებისთვის. მოვა ისეთი დრო, როდესაც კერძო პი- რის ეგოისტურ ინტერესებს დაუყენებენ პირდაპირ საზოგადო ინტერესებს. ცხადია მაშინ ყველასათვის კარგი დრო იქნება, რასაკვირველია იმათ გარდა ვინც სხვისი შრომით სტკება და ფუფუნებაში ცხოვრობს „ამის წინააღმდეგი ვინ იქნება?“ დაი- ყვირებს ზოგიერთი მკითხველი! თუ ამ ოველით შევხედავთ საქ- მეს, მაშინ ხომ, — დასწყევლოს ღმერთმა, — ჩვენც ყველანი სო- ციალისტები ვართ! და ის, აქ საქმე სწორეთ ამ კომუნისმს ეხება, რომლის შემოღება სურთ სოციალდემოკრატებს; კომუ- ნის ქონებრივ დამოკიდებულებათა შესახებ. განაწილების და გაყოფის შესახებ არა გითქვამს რა, მაგრამ ის ხომ ცხადია, რომ საკუთრება უნდა მოისპოს?

აბა ენახოთ მართლა უნდათ სოციალდემოკრატებს სა- კუთრების მოსპობა? (K.)
(შემდეგი იქნება).

ბურჟუა და პროლეტარი *

(თარგმანი).

ბურჟუაზიამ დასა არა მარტო ფეოდალური არისტო- კრატია, რომლის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. საშველო საუ- კუნის მოქალაქე და წერილი გლეხობა თანამედროვე ბურ- ჟუაზიის წინაპრები იყვნენ. იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველო- ბა და აღებ-მიცემობა ნაკლებათ განვითარებულა, ეს კლასი დღემდისაც ღრება წინ მიშველ ბურჟუაზიის გვერდით.

იმ ქვეყნებში, სადაც თანამედროვე ცივილიზაცია განვი- თარდა, გაჩნდა და მუდ მ ჩნდება, როგორც დამატება ბურ- ჟუაზიული საზოგადოებისა— წერილი ბურჟუაზიის ახალი ნა- წილი, რომელიც ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ყოყმანობს. მარა კონკურენცია მუდამ პროლეტარიატის რაზში ერეკება ამ კლასის წევრთ, და იგინი უკვე ითვალის- წინებენ იმ დროის მოახლოებას, როდესაც სხვილი მრეწე- ლობის განვითარებით სრულიად გაქრებიან, თანამედროვე საზოგადოების დამოუკიდებელი ნაწილის სახე აღარ ექნებათ, და მათ ალაგს ვაჭრობაში და მიწათმოქმედებაში ზედამხვეელ- ნი და დაქირავებული მსახურნი დაიქვრენ.

ისეთი ქვეყნებში, როგორიც საფრანგეთია. სადაც გლე- ხობა მცხოვრებთა ნახევარზედაც მეზია, რასაკვირველია უნ- და გა'ორწინილიყვენ მწერლები, რომლებიც ემხრობოდნენ რა პროლეტარიატს, ბურჟუაზიულ წყობილებას ზომავდნენ წვრილი ბურჟუაზიულ წყობილებას ზომავდნენ წვრილი ბურ-

* იხილეთ „მოგზაური“ № 30.

ქუზიული და წვრილი გლეხური საზომით და იცადენ მუშათა საქმეს. წვრილი ბურჟუაზიული შეხედულობით. ასე წარმოიშვა წვრილი ბურჟუაზიული სოციალიზმი. ამ გვარი ლიტერატურის მეტაურია სისმონდი არა მარტო საფრანგეთში, არამედ ინგლისშიც.

ეს სოციალიზმი ჩინებულათ ამჩნევდა თანამედროვე წარმოების პირობათა უკუღმართობას. მან გამოააშკარავა ეკონომისტების ფარისევლური ოპტიმიზტობა. მან მიუთითა მანქანით წარმოების და შრომის განაწილების დამრღვეველ მოქმედებას, კაპიტალთა კონცენტრაციას და საადგილ-მამულო საკუთრებას და კრიზისებს, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის აუცილებელ დაცემას, პროლეტარიატის სიღატაკეს, წარმოების ანარქიას, განაწილების აშკარა უსამართლობას, ერთა დამპყვეველ სამრეწველო ომს, ძველ ოჯახურ დამოკიდებულებათა და ძველ ეროვნებათა დაშლას.

ამ სოციალიზმს მოთხოვნილება მდკომარეობას ან წარმოების და აღებ-მიცემობის ძველი წესების აღდგენაში და მასთან ერთად ძველი ქონებრივი ურთიერთობის და ძველი საზოგადო. წყობილების დაბრუნებაში; ან და ის ცდლობს წარმოების და აღებ-მიცემობის ახალი წესება ძველი ქონებრივი ურთიერთობის ჩარჩოში მთავარად ძალათ, იმ ჩარჩოში, რომელიც მათ უკვე დამტრევის და აუცილებლათ უნდა დამტრევიათ. ორივე შემთხვევაში ის არის ერთ და იმავე დროს რეაქციონერიც და უტოპიურიც. მისი უკანასკნელი სიტყვა მრეწველობის ამქრული ორგანიზაცია და პატრიარქალური სასოფლო მეურეობაა. ეს მიმართულება მხდალ მოთქმით გადაიქცა შემდეგის განვითარებით.

საფრანგეთში სოციალისტური და კომუნისტური ლიტერატურა აღორძინდა ბურჟუაზიის ბატონობის გაგლეწით და წარმოადგენდა ამ ბატონებთან ბრძოლის ლიტერატურულ გამოხატულებას. ეს ლიტერატურა გერმანიაში გადაიტანეს მაშინ როცა იქაურმა ბურჟუაზიამ ის იყო ბრძოლა დაიწყო ფეოდალურ თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ.

გერმანელი ფილოსოფოსები და ნახევრა ფილოსოფოსები ამ ლიტერატურას ხარბათ დაეწაფენ და დაივიწყეს მხოლოდ ის, რომ საფრანგეთის ლიტერატურასთან გერმანიაში საფრანგეთის ურთიერთობა არ გადმოიტანეს. გერმანიის მაშინდელ საზოგადო. წყობილებაში საფრანგეთის ამ ლიტერატურას მოაკლდა ყოველივე პრაქტიკული მნიშვნელობა და გადაიქცა უბრალო ლიტერატურულ მიმდინარეობათ. ის აქ ძალაუწებურათ ვახდა ადამიანის არსებობაზე მოკლილ ოცნებათ, მაგ., მეცხრამეტე საუკუნის გერმანელ ფილოსოფოსთათვის საფრანგეთის პირველ რევოლუციის მოთხოვნილებებს „პრაქტიკულ განების“ მოთხოვნილებათა აზრი ქონდათ, ხოლო საფრანგეთის რევოლუციური ბურჟუაზიის ნების გამოცხადება მათ ეჩვენებოდათ წმინდა ნების კანონებათ, ნების, როგორც უნდა იყოს იგი, ე. ი. ადამიანის ქეშმარიტი ნების.

გერმანელ ლიტერატორთა მთელი საქმე მდგომარეობდა იმაში, რომ საფრანგეთის ახალი აზრები შეეთანხმებია თავისს ძველ ფილოსოფიურ სინდისთან და თანაც მდგარიყვენ ძველ ფილოსოფიურ შეხედულობაზე.

ეს შეთვისება მოხდა ისე, როგორც უცხო ენის შეთვისება ხდება ე. ი. თარგმანის საშუალებით.

ცნობილია, რომ იმ ხელნაწერებზე, რომლებიც შეიკადენ ძველი ქვეყნის კლასიურ ნაწარმოებებს, ბერები აწერდენ კათოლიკური წმინდანების ბრძვეული ცხაურების აღწერას. გერმანელი მწერლები კი საფრანგეთის ლიტერატურას

სწორეთ უკუღმა მოეპყრენ. ფრანგულ დედანის უკან იგინი თავის ფილოსოფიურ უაზრობას ტუმატებდენ.

საფრანგეთის სინამდვილის ფილოსოფიურ ყბედობათ შეცვლას იმათ უწოდეს „საქმის ფილოსოფია“, „ქეშმარიტი სოციალიზმი“, „სოციალიზმის გერმანული მეცნიერება“, „სოციალიზმის ფილოსოფიური დასაბუთება“ და სხვ.

და ასე, საფრანგეთის სოციალისტურ კომუნისტურ ლიტერატურას ყოველივე სერიოზული შინაარსი დაეკარგა. და რადგანაც იგი გერმანელების ხელში ერთი კლასის მეორის წინააღმდეგ ბრძოლას აღორ ხატავდა. ამიტომ გერმანელებმა თავის მოწოდებათ წარმოიდგინეს „ფრანგთა ცლმხრივობის“ შევსება მანათ დანახეს დაცვა არა ქეშმარიტ მოთხოვნილებათა, არამედ ქეშმარტების მოთხოვნილებისა; არა პროლეტარიატის ინტერესებისა, არამედ საზოგადოთ ადამიანის ინტერესებისა, ისეთი ადამიანის, რომელიც არცერთ კლასს არ ეკუთვნის და ამისათვის სინამდვილეში კი არა, ფილოსოფიურ ფანტაზიის ბუნდოვან სამეფოში არსებობს.

გერმანული სოციალიზმი დიდის აზრით ბაქი-ბუქობდა თავის საბრალო სხოლასტიურ გამოგონებათა შესახებ. მაგრამ მას ნელ-ნელა მიანიც დაეკარგა თავისი ჰედანტიური უმანკობა.

გერმანიის და განსაკუთრებით პრუსიის ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალთა და მეფის თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ გაძლიერდა, ლიბერალური მოძრაობა გაიზარდა.

ქეშმარიტ სოციალიზმს ამით სასურველი შეითხვევა მიეცა—პოლიტიკურ მოძრაობისთვის სოციალისტური მოთხოვნილებანი დაეპირდაპარებია და ჩვეულებისამებრ დაეწყველა ლიბერალიზმი, წარმომადგენლობითი მთავრობა, ბუჟუაზიული კონსტიტუცია, სიტყვის ბურჟუაზიული თავისუფლება, ბურჟუაზიული უფლება, ბურჟუაზიული თავისუფლება და თანსწორობა და ხალხისთვის ექადაგებია—ამ ბურჟუაზიული მოძრაობისაგან ვერას მოიგებთ, წაგებთ კი შეიძლება ყველაფერი წააგო. გერმანული სოციალიზმი თავის სასახარულოთ ივიწყებდა იმას, რომ ფრანგულ კრიტიკას, რომლის ბრძვეული განმეორება თითონ იყო, სახეში ჰქონდა თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება თავისი შესაფერი პოლიტიკური და ეკონომიური ორგანმზაცით ე. ი. სწორეთ ის საზოგადო პირობები, რომლის გერმანიაში შემოღებაზე ჯერ მხოლოთ ლაპარაკი აყო.

გერმანიის თვითმპყრობელობის ხელში, მისი ხუცების, მასწავლებლების, მემამულეების და ბურჟუაზიტების ამაღლასთან ერთათ იგი შეიქნა სასურველ საფრთხობელათ, მტრულათ ამოძრავებულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამნაირათ ქეშმარიტი სოციალიზმი მთავრობის ხელში გადაიქცა იარალათ წინააღმდეგ ბურჟუაზიისა; მაგრამ ამავე დროს ის იყო გამოხატულება გერმანიის მდამიო მოქალაქეთა რეაქციონური ინტერესებისა. ეს წვრილი ბურჟუაზა კლასი მომდინარეობს მეთექვსმეტე საუკუნიდან: მან ყოველთვის შეძლო თვისი ინტერესების ასე თუ ისე დაცვა, იგი წარმოადგენს გერმანიის დღევანდელ წყობილების ნამდვილ საზოგადოებრივ საფუძველს. ამ კლასის შენახვა ნიშნავს ამ წყობილების შენახვას, მას ეშინია ბურჟუაზიის სამრეწველო და პოლიტიკური ბატონობის, იმიტომ რომ კაპიტალის კონცენტრაციის და რევოლიუციური კლასის—პროლეტარიატის აღორძინებით, ის აუცილებლათ დაიღუბება, ქეშმარიტი სოციალიზმი ერთი დაკვრით ორი კურდღლის მიკვლას აპირებდა და ისიც მოარული სენივით გაეცეღდა.

გერმანელი სოციალისტები თავისს ორ-სამ გაქვავებულ

ქვეშარიტებს ახვევდენ ფილოსოფიური აბლაბულით ნაქსოვ, ფილოსოფიური ბრძნობის მკვერ-მეტყველურ ყვავილებით მოართულს და მგრძნობიარე გულ-ჩვილობის ცრემლებით დანამულს სამოსელში. მორთულაბა მხოლოდ ხელს უწყობდა მათი საქონლის ისეთ საზოგადოებაში გასაღებას. გერმანული სოციალიზმი უფრო და უფრო იკლინებოდა იმ გრძნობით, რომ ის მოწოდებულია აღფრთოვანებით დაიკვას ძველი მოქალაქენი. მან გერმანული ერი ნორმალურ ერთ აღიარა, ხოლო გერმანული მდაბიო მოქალაქე მდაბიო ადამიანთ. თვითეულ ასეთ მოქალაქის სიმდაბლეში ის ხელავდა დაფარულს და მაღალ სოციალისტურ აზრს, რომელიც მას მისთვის სულ წინააღმდეგ რამეთ ასხვავდებდა. მან აშკარათ გამოილაშქრა კომუნისმის ემბესური დამრღვევლია მიმართულებების წინააღმდეგ და თავისი თავი კლასთა ბრძოლის მალლა-მდგომათ გამოაცხადა. გერმანიის თითქმის ყველა ეგრეთ წოდებული სოციალისტური და კომუნისტური თხზულებანი, გარდა ცოტადენი გამონაკლისა, ამ გასვრილ და გამათახსირებელ ლიტერატურას ეკუთვნის.

(დასასრული იქნება)

ცოტა რამ საფრანგეთის მთმრამებთა საუკუნის ისტორიიდან *).

(იანგეშანი)

ჩვენ უკვე დავინახეთ თუ როგორ დასრულდა მეფის და მისი ოჯახობის მგზავრობა დრუეს მეოხებით და საფრანგეთი ურთიერთშორის ბრძოლისაგან იქმნა ერთხელ დახსნილი.

მეფის გაქცევამ რესპუბლიკანური მოძრაობა საფრანგეთში გააძლიერა. მცხოვრებთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ მეფე დაემხობა და საფრანგეთი რესპუბლიკათ შეიქცნებო, მაგრამ ეს ვერ გადაწყვიტა ნაციონალურმა კრებამ, რაშიაც უმრავლესობას ზომიერი ხალხი შეადგენდა; მან გამოაცხადა, რომ მეფე მტრებმა ძალათ წაიყვანეს და მიტომ ის პასუხის მგებელი არაა. აღდევნებულ-აბოპტრებული ხალხი რომ დაემშვიდებოთ კრებამ დაუმატა, მეფე უნდა დაემხოს, დეცეს და სამართალში მიეცეს იმ შემთხვევაში თუ ის ფიცს გატებს კონსტიტუციის წინააღმდეგ.

ნაციონალური კრების ასეთნა გადაწყვეტილებამ არ დააკმაყოფილა პარიელები, რომლებიც მეფის უფლების მოსპობას ითხოვდენ. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი მდგომარეობა დანაბოლოს ნაციონალურ კრებასა და ხალხს შორის შეტაკებას გამოიწვევდა. მაგრამ ნაციონალურმა კრებამ თავისი არსებობა აღრე შეწყვიტა. სამ სექტემბერს 1792 წ. მან დაასრულა კონსტიტუციის შემუშავება და 13-ს კი მეფემ შეატყობია, რომ ის მზათაა ეს კონსტიტუცია მიიღოს. და მართლაც 14 სექტემბერს მეფე მოვიდა კრებაზე, რომ მიელოფიცი იმ კონსტიტუციაზე, რასაც მან ერთხელ უკვე შეფიცა მარსის მინდორზე 14 ივნისს 1790 წ. და თავისი, ოცი ივნისის 1791 წ. მანიფესტით უარყო.

ოცდაათ სექტემ. მოხდა უკანასკნელი კრილობა ნაციონალური კრებისა, რომელმაც თავისთავზე მიიღო საფრანგეთის კონსტიტუციის შემუშავება. იმ წამსვე ხელახალი არჩენები დანიშნეს და იმავე წლის 30 ოქტ. მეორე ნაციონალური კრების ეგრეთ წოდებულ კანონ მდებლობას კრებას სხდომები დაიწყო. ის სულ ახალი პირებიდან შესდგებოდა, რადგანაც ნაციონალურმა კრებამ დაადგინა, რომ არც ერთ

იმ პირს, რომელიც კრებაში მონაწილეობას იღებდა, მონაწილეობის უფლება არ ქონდა კანონმდებლობის კრებაში, რომელიც საფრანგეთის კონსტიტუციას დაამტკიცებდა და თან დაუწყო ბრძოლა შინაურ და გარეშე რევოლიუციის მტრებთან.

4 აგვისტომდის ნაციონალურ კრებაში ერთსულობა და ერთგულობა სუფევდა. მაგრამ როცა საქმე მივიდა კონსტიტუციის ძირითადი უფლების და სახელმწიფოს მოწყობის კითხვების შემუშავებაზე, მაშინ შეიქნა პარტიები, რომლებიც ერთი მეორეს არ ეთანხმებოდა. ყველაზე უფრო დიდი დავა პარტიებს ქონდა ამის შესახებ: მიეცეს თუ არა მეფეს უფლება გამოაცხადოს კანონი უვარგისათ, რასაც ხალხის წარმომადგენლები მიიღებენ **) და ნაციონალური კრება ორი პალატიდან უნდა შესდგებოდეს თუ არა. ამ დავის დროს აღმოჩნდა, რომ ნაციონალურ კრებაში ყოფილა ოთხი პარტია: მონარქიული, რომელსაც სურდა მცირე რეფორმები და გულში კი კონსტიტუციის წინააღმდეგი იყო; არისტოკრატულ-კონსტიტუციონური, რომლის იდეალს ორ პალატანი ინგლისის კონსტიტუცია შეადგენდა, ერთს ირჩევდა ხალხი, მეორეს - არისტოკრატია, რომელიც მეფის ბრძანებით არისტოკრატებიდან შეიძლებოდა; ლიბერალური და დემოკრატიული-კონსტიტუციონალური პარტია ნაციონალურ კრებაში უფრო გავლენიანი იყო. მას სურდა ერთი პალატა და თანამომხრე იყო, რომ მეფის veto, აკრძალვას განსაზღვრულ დროში ქონოდა უფლება შემდეგ კი კანონი ხელმეორეთ უნდა გადასინჯულიყო. ყველაზე უფრო სუსტი დემოკრატიული პარტია იყო, რომელსაც სურდა მეფობის მოსპობა და რესპუბლიკის დაარსება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ის კმაყოფილდებოდა ერთი პალატის დაარსებით და მეფის veto-ს უფლების მოსპობით.

ვერსალიდან პარიეში ნაციონალური კრების გადატანამ, სადაც ის პოლიტიკის ქარცეცხლში ჩავარდა, პარტიები ჩამოაყალიბა: პარველი ორი პარტიდან ერთი მანარქიული გადაკეთდა, რომელიც კრებაში თავმჯდომარის მარჯვენა მხარეს იჯდა და ამიტომ შემარჯვენე უწოდეს; დემოკრატიულ-კონსტიტუციონალური ანუ-ცენტრი დარჩა ყველაზე უფრო ძლიერი კრებაში. განაბოლოს დემოკრატიული ანუ მემარცხენე-ყველაზე უფრო რიცხვ ნაკლები კრებაში. ამ უკანასკნელთ ყავდა ბევრი მომხრე გაყვედფილ პარიეის მუშებს შორის. ამ უკანასკნელიდან ძლიერ აღრე წარმოიშვა უკიდურესი მემარცხენე ანუ მთა. (მონტანის) მას მთა უწოდეს იმით, რომ მისმა წევრებმა მარცხით ყველაზე უფრო მაღალი ალაგი დაიქირეს. ეს მთა იყო რევოლიუციის ნამდვილი სული და გული; დანარჩენები ყველა მზათ იყო უბრალო ფინჩხით დამაყოფილებულიყვენ. აშვე დროს კრებაზე გავლენა იქონია პარიელების პოლიტიკურმა მისწრაფებამ, რაც ყველაზე უფრო კლუბებში და გაზეთებში გამოიხატა.

პირველი კლუბი ბრეტანის დეპუტატებმა ვერსალში დაარსეს, რასაც პარიეში მიემხრენ სხვა კლუბის დეპუტატებიც. პირველათ კლუბს მიზნათ ქონდა თანაზიარათ ემსჯელათ იმის შესახებ თუ რა გააკეთა კრებამ, ან რას გააკეთებდა. ამ პირველმა კლუბმა სახელათ დაირქვა კონსტიტუციის შეკაზარა, შემდეგ კი რევოლიუციის მეგობრათ მოინათლა. ჩქარა დეპუტატებს გარდა კლუბში ყველა მოქალაქეები მიიღეს, რომლებმაც აღრე გაზარდეს და დიდი სახელიც მოუპოვეს. რადგანაც კრება წმინდა იაკობის შენობაში ხდებოდა

***) ამას ქვია Veto-ს უფლება ე. ი. რაიმეს აკრძალვა. ეს სიტყვა ლათინურა: ნიშნავს Voto—ავკრძალავ.

*) იხ. მოგზ. № 30.

ამისათვის მისი წევრები იაკობინებთ მონათლეს. ამ კლუბის განყოფილება ყველა საფრანგეთის ქალაქებში იყო. აი ამის შემწეობით ძლიერი რევოლუციის ხელმძღვანელი ძალა მოიპოვა. დროთა ვითარების გამო ეს კლუბი უფრო და უფრო დემოკრატიული შეიქნა და თან უკურო და უფრო რევოლუციონურიც. პირველათ მას დემოკრატიულ კონსტიტუციური პარტიის ბელადებიც ესწრებოდნენ: მირაბო, ბალი, ლაფაიეტი და სხვები. მას შემდეგ, რაც დემოკრატიულმა აზრებმა ძირ-ფესვი გაიბა შიგ და გადააქარბა სხვებს, ვერეთ წოდებული ზომაიკურმა ჩამოშორდა და თავისთვის დაიარსა კლუბი 1782 წ. იაკობინელების კლუბს ზოგი უკიდურესი დემოკრატებიც ჩამოეცალა, როგორც მაგ. მამიდი დეპუტენი, დანტონი და მარატი და კლუბი კორდელიეროვის დაიარსეს. დემოკრატიულ კლუბს დიდი, მეტათ დიდი, გავლენა ქონდა პარიზის მცხოვრებლებზე, რომლებმაც აქ მიიღეს თავისი პოლიტიკური და რევოლუციური აღზრდა. კლუბში აღიზარდა ხალხის საუკეთესო ორატორები. ბელადები და საუკეთესო მებრძოლი ხალხის საქმისათვის.

კლუბს დაეხმარა გაზეთები, რაც ძლიერ ცოცხალი რევოლუციის დრომდე და ეხლა კი სოკოსავით გამრავლდა. გაზეთები მთელ პარიზს და საფრანგეთს მოეფინა, ყოველგან დასთესა იდეალი თავისუფლებისა ტირანის 1) საწინააღმდეგეთ.

ნაციონალურ კრების მიერ შემუშავებულმა კონსტიტუციამ საფრანგეთი ნახევარ დემოკრატიულ სახელმწიფოთ გადაქმნა. დიდიან კანონების გამოცემა ნაციონალურ კრებას ეკუთვნოდა; ნაციონალურ კრებას ყოველ ორ წელიწადში ირჩევდნენ. ამორჩევითი სისტემა არა პირდაპირი იყო ე. ი. მოქალაქეები პირდაპირ დეპუტატს კი არ ირჩევდნენ, არამედ ამომრჩევლებს, რომლებიც თავის მხრით ირჩევდნენ დეპუტატებს. სარჩევნო უფლებაც საყოველთაო არ იყო, ვინაიდან ყველა მოქალაქეები ამ უფლებით ვერ სარგებლობდა. მხოლოდ უფლება ქონდა ამომრჩევლები აგრძობა და აქტიურ მოქალაქეთაც ითვლებოდა ის, ვინც ოცდა ხუთი წლისა იყო და თანვე ყოველ წლოვით პირდაპირ გარდასახადს თუ იხდიდა, რაც სომეხების ქრას უდრიდა ე. ი. სამ ფრანკს; დანარჩენები კი „პასიურ მოქალაქეთ“ ითვლებოდა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ქონდათ. მეფის პიროვნება ხელ შეუხებელი იყო; საფრანგეთს მმართველი ის მინისტრების შემწეობით, რომლებიც პასუხის მგებელი იყვნენ ხალხის წარმომადგენლების წინაშე. მეფეს ქონდა Veto-ს უფლება ე. ი. კრების დადგენილება, რასაც თვითონ არ ეთანხმებოდა, ძალაში შედიოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ დადგენილებას მეორეჯერ და მესამეჯერ კანონმდებლობის კრება ოთხი წლის განმავლობაში დაამტკიცებდა. მეფე ჯარის უფროსათ ითვლებოდა, მაგრამ ი. მის გამოცხადების და ზაის ჩამოგდებისათვის კრების ნება უნდა აეღო. მეფის ქონება სახელმწიფოს გარდაეცა. მას მხოლოდ რამდენიმე კოშკი და ყოველ წლიურათ ოცდა ათი მილიონი ფრანკი დარჩა. ასეთი პედი მარტო მეფის საკუთრებას არ წვევია. საფრანგეთის ყველა სახნავ-სათესი მიწების მებუთელი ნაწილი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა ისე კი არა, როგორც ამა თუ იმ პირის კერძო საკუთრება, არამედ როგორც ეკლესიის საკუთრება. ეს ქონება ხუცებს წლიურათ აძლევდა 100 მილიონ ფრანკ შემოსავალს. ყველა ეს ქონება სასულიერო წოდებას ჩამოერთვა და ნაცლათ განსაზღვრული ჯამაგირი დაენიშნა

ხაზინიდან. ასე ამ რიგათ ნაციონალური კრება ამ შემთხვევაშიაც, ისე როგორც არჩევნების უფლების დროს, ნახევარ ზომებით დაკმაყოფილდა; ეკლესიის სახელმწიფოსაგან გათიშვა მან ვერ გაბედა. ნაციონალურმა კრებამ ვერ გამოიჩინა იმდენი სიყოჩაღე და სიმამაცე, რომ სარწმუნოება გაეხადა თავისუფალი კაცის სინდისის საქმეთ და სასულიერო წოდების შენახვა მიენდო ყველა იმათთვის ვისაც ეს რწამდა.

ასე თუ ისე ნაციონალურმა კრებამ სასულიერო წოდების ჩამორთმეული ქონებით გაისტუმრა ოთხასი მილიონი ფრანკი ვალი, რაც 1789 წ. საფრანგეთს ქონდა. ჩამორთმეული მიწების გაყიდვა ამრიგათ გადაწყვიტეს: ვინაიდან ერთ-ბაშთ ამდენი მიწის გაყიდვა არ შეიძლებოდა და არც სასურველი იყო, ანტიკომ ერთი ნაწილი პარიზის ქალაქის სამმართველოს დაუგირავეს. ამ მაგალითს სხვა ქალაქის სამმართველოებმაც მიბაძეს. ქალაქის სამმართველო სახელმწიფოს აძლევდა ვექსილებს, რასაც მიწების გაყიდვის მიხედვით ისტუმრებდნენ. შემდეგ ასეთი ვექსილების გაყენა თვითონ სახელმწიფომც დაიწყო და ასე ამ რიგათ წარმოიშვა პირველი ქალაქის ფული, რასაც რევოლუციის დროს ასიგნაციებს ეძახდნენ.

ასიგნაციები ხალხში, როგორც ფული ისე გავრცელდა და ხაზინა დებულობდა, როგორც გაყიდული მიწის საფასეს. ამ გზით ბევრი მიწის წვრილი მესაკუთრე წარმოიშვა, რომლებიც უწინ რევოლუციის საქმეს სულითა და გულით ემსახურებოდნენ, მაგრამ შემდეგ კი უღალატეს: ისინი მხოლოდ მისწრაფოდნენ და მიილტოდნენ ახალ შექმნილი ქონება კარგათ თვითონვე მიესაკუთრებათ. ამათ რევოლუციის ემინოდათ, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ რევოლუცია ყოველგვარ საკუთრებას მოსპობსო.

ნაციონალური კრების შემუშავებულ კონსტიტუციის წინ უძღოდა „ადამიანის და მოქალაქის უფლების განცხადება“, რაშიაც მოკლეთ გამოთქმულ-გამოხატული იყო ის იდეა, რითაც მაშინდელი განათლებული საზოგადოება ხელმძღვანელობდა. მართალია პრაქტიკულათ ეს იდეა უფრო იმ ბურჟუაზიის სასარგებლო იყო, რომელიც მაშინ იბადებოდა, მაგრამ მართალია ისიც, რომ „ადამიანის და მოქალაქის უფლების განცხადება“ კარგათ გადმოგვეცემს მაშინდელი ახალი დროის სულიერ მდგომარეობას, მის ლიბერალურ და დემოკრატიულ მისწრაფებას, რაც შეადგენს ჩვენი დროის ბევრ პარტიის პროგრამის შინაარსს.

ეს საბუთი ადამიანის და მოქალაქის შემდეგ უფლებას აღიარებს:

„ადამიანი იბადება და სიკვდილამდის რჩება თავისუფალი და თანასწორი. ადამიანების განსხვავება საზოგადოებრივ დამოკიდებულებაში შეიძლება გამართლდეს მხოლოდ საზოგადო სარგებლობით.

ყველა პოლიტიკურ დაწესებულებების მიზანია დაცვა ბუნებრივი და მიუწმენველი უფლება ადამიანისა; ეს უფლებები შემდეგია; თავისუფლება, კერძო საკუთრება, უშიშრობა და დაჩაგრვის წინააღმდეგობა.

ყველა უზენაესი უფლების პირველი წყარო არის ხალხი. არავითარ დაწესებულებას, არც ერთ პირს, არა აქვს ისეთი ძალა და უფლება, რომელიც პირდაპირ ხალხიდან არ გამოიღოდეს.

თავისუფლება არის ყველაფრის გაყენების უფლება, რაც არავის ანებს. მაშასადამე თვითეულ ადამიანს შეუძლია ისარგებლოს თავისი ბუნებრივი უფლებით იმ ჩარჩოში, რაშიაც სხვა ყველა წევრი საზოგადოებისა უზრუნველყოფილია ამავე უფლებით. ამის განსაზღვრა მხოლოდ კანონს შეუძლია. კანონს შეუძლია აკრძალოს ყველა ის მოქმედება, რაც საზოგადოებისათვის მავნებელია. ყველა ის, რასაც კა-

1) უკანონო და დესპოტიური მმართველობა, მკაცრი მოქმედება და წვალება.

ნონი არ კრძალავს ნება დართული უნდა იყოს და ვერავის ვაძილებთ მის გაცემებს, რასაც კანონი არ ავალებს.

კანონი არის საზოგადო სურვილის გამოხატვა. ყველა მოქალაქეს თვითონ აქვს უფლება პირადი, ან რწმუნებულის საშუალებით, მონაწილეობა მიიღოს კანონის შექმნაში. კანონი ყველასათვის ერთი უნდა იყოს იქ სადაც ის იცავს თუ ბრალს სდებს ადამიანის უფლებას. ვინაიდან კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორობა, ამიტომ ყველა იმათ, თავისი ნიჭის მიხედვით, შეუძლიათ საზოგადოებაში რაიმე ალბაგი დაიჭირონ და ყველა მოვალეობა შესრულონ. ყოველგვარი განსხვავება აქ მათ შორის განისაზღვრება მათი მხნეობით და ტალანტით.

ვინმეს ბრალის დადება, დაქვერ და ცხემში ჩასმა შეიძლება იმ ფორმით, რასაც კანონი უწერს. კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში. ის ვინც ცდილობს მეორესგან მოიპოვოს სიძლიერით ბრძანება, ვინც ამას აძლევს, ასრულებს, ან ასრულებინებს სხვას, ის უნდა დაისჯოს; მაგრამ ყველა მოქალაქე, რომელიც პასუხის გებაში ან დაქვერილია კანონის ძალით, უნდა დაემორჩილოს დაუყოვნებლივ; ყოველგვარი წინააღმდეგობისათვის დაისჯება.

კანონმა უნდა დადგინოს უსათულო ასეთი სასჯელი, რომელიც აუცილებლათ საქრობა: დასჯა შეიძლება მხოლოდ იმ კანონების დარღვევისათვის, რომელიც გამოცემული და გამოქვეყნებულია დანაშაულობის ჩადენამდის და რაც უკვე ეფარდება კანონმდებლების მოწერილობის ყველა პირობებს.

ვინაიდან ყველა ადამიანი უდნაშაულოა სანამ მისი დანაშაულობა არ დამტკიცებულია, იმ შემთხვევაში, როცა იმის დაქვერ აუცილებელია, კანონმა უნდა სასტიკათ აკრძალოს ყველა მისი ხედრის შევიწროება, რაც აუცილებლათ არ არის საჭირო, რომ ის პასუხის გებას არ გაეძეცვს.

არაფინ არ უნდა იდგენებოდეს თავის აზრებისთვის და სარწმუნოებისათვისაც, თუ ეს აზრების გამოთქმა არ არღვევს და ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესებს.

თავისუფლათ აზრების და ფიქრების გადაცემა არის ერთი უჭირფასესი უფლებათაგანი ადამიანისათვის; ამისათვის თვითვე მოქალაქეს შეუძლია თავისუფლათ ილაპარაკოს, წეროს და ბეჭდოს, და პასუხს აგებს მხოლოდ კანონის წინაშე ამ თავისუფლების ბოროტათ მოხმარებისათვის.

ადამიანის და მოქალაქის უფლების დასაცველათ საჭიროა საზოგადოების ძალა, რაც, ამისათვის, არსდება, ყველას საკეთილდღეობათ, არამედ იმ მკირედთათვის სასარგებლოთ, რომელთაც ის ახარბა.

საზოგადოების მმართველთა შესანახათ და სამმართველოს ხარჯებისათვის საჭიროა საზოგადო გადასახადი, რაც უნდა გაუწიროდეს ყველა მოქალაქეებზე შემოსავლის კვლობაზე.

ყველა მოქალაქეებს პირადთ, ან რწმუნებულის საშუალებით, აქვს უფლება განსაზღვროს საზოგადო გადასახადი, მისცეს თავისი თანხმობა მისდა ასაკრფათ, თვალყური ადევნოს ხერჯებს და განსაზღვროს ის ნაწილი, რაც ხდება თვითვე მოქალაქეს, და აგრეთვე აკრფის საშუალებები და ხანგრძლიობა იმ გადასახადისათვის.

თვითველ საზოგადოების მოსამსახურეს, მათე მინდობილი საქმის ასრულების შესახებ, საზოგადოებას აქვს უფლება ანგარიში მოსთხოვოს.

საზოგადოებას, რომლის უფლება უზრუნველ ყოფილი არ არის, და რომელშიაც მართველობა დანაწილებული არაა, კონსტიტუტია არა აქვს.

ვინაიდან კერძო საკუთრების უფლება დაურღვეველი და წმინდაა, მტომ არავის ის არ წაერთმევა იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას თვალსაჩინოთ მოითხოვს საზო-

გადოებრივი აუცილებლობა, რასაც კანონი განსაზღვრავს მხოლოდ იმ პირობით, რომ სიპართლე დაკულ იქმნას და წინდაწინაც ცნაზღაუროს.

თი რა გააცეთა მეურავმეტე საუკუნეში ნაციონალურმა კრებამ საფრანგეთში.

ზაქ. ჩიჩუა.

წერილები რედაქციის მიმართ.

ღია წერილი ბ.ბ. თედო სახოკიას და სამსონ ფირცხალავას

როგორც იცით, სახოკიას და ჩხიკვიშვილის საქმის გარეჯა სამხელატრო სასამართლომ ვერ მოახერხა. იმ მიზეზის გამო, რომ სახოკიას ათა მამის დაკითხვის შემდეგ, ჩხიკვიშვილის მეორე მამის, ფანულის, სახოკიას რამდენიმე მომხრე ზარემმა შეაწვეტინეს ჩვენების მიცემა ფანურადან რეოლუციების და საზოგადოების ჩვენებით, შემდეგ შემოვიკვამენ ზედამხედველობის სამართლის წარმოება. შემდეგ, ქუჩაში, რადესან ვიკატის ვეითხეობდა, რათ არ აცდეს ფანულის ჩვენების მიცემა, თუნდაც მას ტყუილი ეთქვა, დახარხნი ცხრამეტი მამის ჩვენება ხომ მანც გაუქმებდა მის ჩვენებას, თუ ის ტყუილი აქებოდა და მოსთავსე სასარტო დარჩებოდა მეთა, მოულოდნელათ უკანდას მომარტე ვიდაცო და დამიწეეს ტყმა. ერთმა მათგანმა შემომძახა: მკერელებს მტერი ხარ?! და ამ სიტყვებს უშვერა განებაც თან დააყდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ზარემა მე ზარდათ არ მიცხმებ და რომ ისინი ამ შემთხვევაში მოქმედებენ, როგორც ბრძ აარდნი ვიდაც უსიადისო ცდაის მწმეულ ზარებმა, თორემ ისინი მკერელებს მტრბას არ შემიტებენ და არც შეურადეოფას მომეუტებენ. ამის საბუთათ მომეუტეს ის გარემოება, რომ ბ-ნ სახოკიამ ჩვენების მიცემის შემდეგ მდღობა გადასხდა გუფორეული და მართალი ჩვენების მიცემისათვის, დასხდა ის, აბათ, არ მოელოდა ჩემგან, როგორც მოწინააღმდეგე მხარის მოწმისაგან.

ნუ თუ მეკრელებს მტრბას? ჩიხნავს იმ აზრის გაცრება, რომელიც გამოთქეა მე ჩვენების მიცემის დროს? და იმ აზრის გამოთქმის მეტი გა არავითარი დანაშაული არ მიამძღვის მე არავისთან. დაახ, არავითარი მტერი მეკრელების თუ თავის დეე-სი არ ვეოფედვარ და არც შემიძლია ვეყო, მსოფლო მოწინააღმდეგე ვი ვეოვი და ვაქემა ისეთი ზარების, რომლებიც რადაც მოსაზრებთ მტრებზე, რომ შეუტების ერთი ნაწილის მდგომარეობის გაუმდობეება შესაძლებელია და საპართლიანი მეორე ნაწილის შეტრბლიათ (აქ მე აარადით შეტრბლიებაზე არ ვამბობ) და მათა სმდეალი მტრბას დაეწეებთ.

ამიტომ მე ვთხოვ ბ-ნ სახოკიას, რომ მან გაამეოროს გაზეითის ფურცელზე, რომ ჩემი ჩვენება სრული სიპართლე აუთ და რომ არავითარი მიკერება მში არ ეოფიდა და ბ.ბ. ფირცხალავას და სახოკიას, თრეეს ერთათ, ვთხოვ გამოთქვან თავისი აზრის ამის შესახებ, შეიძლება თუ არა დამეტქვან მე მეკრელების მტრბა? იმ აზრების გამო, რომელიც გამოთქეა ჩემს ჩვენებაში, რადგანც სხვა არავითარი საბუთი ამის არ არსებობს და ვერ ვარავის დამომტეებენ რსმე.

და თუ გა არ შეიძლება დამეტქვან, მაშინ ჩემთან ერთათ გამოუცხადონ თავისი ზიხდი იმ ცდაის მწმელებს, რომლებმაც შეიუტინეს შეტრბმაში ჩემი შეურატემეოფელბი, და ჩაადეიეს მათ უდიხნი და ბარბაროსული საქციელი.

ლ. დავითია.

P. S. ეს წერილი 8 თუ 9 აგვისტოს გავცხადე ჩნობის ფურცელს რედაქციაში, მაგრამ იმან დედმდის არ დაეუქდა ის და ამ გვარათ არ მომცა სსშეალება დამეტეებება ჩემი უდნაშაულობა მეკრელების წინაშე და გამოემეუტებება ცდაის მწმელობა იმ ინტრაგანების, რომელიც სრულიად უბრალთ სშიმ მდგომარეობაში აუებებენ ჩემს ზარებებს.

ლ. დ.

სამტრელი, 17 აგვისტო 1895 წ.

რედ-კამოც. ი. ა. როსტომიშვილი.